პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
კვირა
29 ნოემბერი
№ 276 (18218)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამი შეკითხვა ჩამორჩენილი უბნის ხელმძღვანელს

1. რამ გამოიწვია და რით შეიძლება აიხსნას ჩამორჩენა?

2. რა ღონისძიებები ხორციელდება ჩამორჩენის დასაძლევად?

3. შეგწევთ თუ არა ნაკლოვანებების გამოსწორების უნარი?.

თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის კოლმეურნეობამ შარშანდელი სამეურნეო წელიწადი წაგებით დაამთავრა. როგორც ჩანს, ზარალს ვერც წლეულს დააღწევს თავს. ამის გამო „კომუნისტის“ საკუთარმა კორესპონდენტმა სამი ტრადიციული შეკითხვით მიმართა ჩამორჩენილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ი. გრიეულოვს.

1. — **ალბათ,** შარშანდელზე ნაკლებს, მაგრამ დაახლოებით ორასი ათას მანეთს წლეულსაც ვიზარალებთ. სამწუხაროა, რომ სამი კვარტალის შედეგებით ვერც ხორცის წარმოების გეგმა შევასრულეთ და ვერც რძისა, 149 ტონა ხორცის ნაცვლად ვაწარმოეთ მხოლოდ 109 ტონა, ხოლო რძის წარმოების გეგმა 81 პროცენტით შევასრულეთ. სამარცხვინოდ ცოტა მარცვლეული მივიღეთ. გეგმა ითვალისწინებდა, რომ კალოზე 970 ტონა ხორბალი დაგვეხვავებინა. ჩვენ მხოლოდ 284 ტონა გავლეწეთ და საგეგმოს მესამედიც ვერ მივიღეთ, ხოლო ლობიო 88 ტონის ნაცვლად მხოლოდ 16 ტონა ვაწარმოეთ. ასე რომ, ამ ძვირფასი და საჭირო კულტურის წარმოების გეგმა სულ რაღაც თვრამეტიოდე პროცენტით შევასრულეთ.

ამ ჩამორჩენის მიზეზი და მისი ახსნა ბევრი რამით შეიძლება. ‘ხრობს მოგახსენოთ მთავარ მიზეზებზე. ჩვენ აღგილობრივი ჯიშის ღორი გვყავს. მართალია, გოჯის მიღების გეგმას ვასრულებთ, მაგრამ სადღეღამისო წონამატება ძალზე დაბალია.

მეცხოველეობის ფერმაში ბრუცელიოზი გაჩნდა. 53 სული ჯიშიანი ფური დაავადდა, შემდეგ ამას ზედ დაერთო გაზაფხულის ხშირი წვიმები. ნახირი საძოვრად ვერ გაგვყავდა. საკვებიც აღარ გვეყო. საკალო მდგომარეობაშია ჩვენი ფერმები — ასას აღგილად ბოსლებში 160-170 სული ძროხა გვყავს შეფარებული და ისეთი სიმჭიდროვეა, რომ ერთი ძროხა ელოდება ხოლმე მეორის აგდომას, რომ დაწვეს.

გულისტკივილით მინდა ვთქვა, რომ ახალი ფერმების აგება კი არა, მთელი სამეურნეო წელი გავიდა, ერთი ღერი ფიცარი და ერთი კილოგრამი ცემენტი არ მიგვიღია, რომ რაიმე შეგვეკეთებინა. ახლახან მოგვცეს ერთი მანქანა ფიცარი, რომელიც უფრო შეშაა. მესაქონლეობის ფერმებში სასმელი წყალი არა გვაქვს. მეწველი ფურები ხევის ტალახიან წყალს სვამენ. აბა, როგორ შეგასრულებთ ასეთ პირობებში ხორცისა და რძის წარმოების გეგმებს?

რაც შეეხება ხორბლისა და ლობიოს წარმოებას, აქ ამინდმა დაგვიღალატა. პურეული დროზე და აგროვადებში დავთესეთ, თანაც ხუთასი ჰექტარის ნაცვლად, 800 ჰექტარამდე. შემდეგ ისე წავიდა საქმე, რომ ალოობაზე ჰექტარზე 14 ცენტნერი მარცვალი ძლივს გავლეწეთ. საქმე ის არის, რომ ჩვენი სახნავები ვაკე არ არის. დამრეცია. კოკისპირულმა წვიმამ სულ ჩამორეცხა ნათესები. ლობიოს ნათესებიც ასეთმა პირობებმა გაფუჭა. თანაც ეს კულტურა აგროვადების დარღვევით დავთესეთ.

2. მეორე კითხვაზე პასუხის გაცემა არც თუ ისე იოლია, მაგრამ ჩამორჩენის დასაძლევად მთელი რიგი ღონისძიებები განვახორციელეთ. იმისათვის, რომ მეტი რძე ვაწარმოოთ შემოვიყვანეთ 160 სული წაბლა ჯიშის დეკეული. ისინი ცალკე ბინაში გვყავს. საკვები საკმარისი დავაგროვეთ. ავამუშავეთ მარტივი ტიპის საკვების შემამზადებელი საამქრო. 240 ჰექტარზე დავთესეთ მრავალწლოვანი საკვები ბალახები.

ხორცის წარმოების გაზრდის მიზნით შემოვიყვანეთ ასი სული ჯიშიანი ნეხვი. შეექმენით აგრეთვე სასუქებელი პუნქტი და ყოველივე ამან დადებითი შედეგი უნდა მოგვცეს.

ხორბალსა და ლობიოს, წელს აბა, რაღა ეშველება, საგაისოდ კი ის გავაკეთეთ, რომ საშემოდგომო ხორბლის დასათესად დროზე და ხარისხიანად მოვახანთ. სასუქებიც შევიტანეთ და ხორბალი ხუთასი ჰექტარის ნაცვლად 656 ჰექტარზე დავთესეთ, გაისად ჰექტარზე თუ ტონას არა, 600-700 კილოგრამ ლობიოს მაინც მოვიყვანთ. ამის იმედი იმიტომ მაქვს რომ გამოცდილება შევიძინეთ. უაზრობაა ლობიოს პატარ-პატარა ნაკვეთებზე დათესვა. შემდეგ აუცილებელია ეს ეფექტური აგროვადების დარღვევით დავთესეთ.

3. შემწევს თუ არა უნარი ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

რედაქციისაგან: სიმონიანთხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. გრიეულოვმა გულწრფელად ილაპარაკა კოლმეურნეობის ნაკლოვანებებზე, მაგრამ ჩვენც ასევე პრინციპიულად უნდა შევნიშნოთ, რომ კოლმეურნეობა ეკონომიკურად ერთობ სუსტია. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბობს: გაისად ხორბალსაც და ლობიოსაც უხვად მოვიყვანთო. გვინდა ვირწმუნოთ, მაგრამ გვეშინია და არცთუ უსაფუძვლოდ. შარშან 500-ის ნაცვლად 800 ჰექტარზე მეტი ეთესათ ხორბალი და წარმოების გეგმა მხოლოდ 80 პროცენტით შეასრულეს. წელს კი ერთობ ნაკლებ — 656 ჰექტარზე უთესიათ ხაშმოდგომო ხორბალი. აქვე უსიამოვნოდ გვახსენდება ერთი ფრაზა: ირგვლივ ყველაფერი გადახნული იყო და ძროხებს ვერ ვაძოვებდითო. ამ მოხსენებიდან ხომ მაინც უნდა იღებდეს კოლმეურნეობა რიგიან მოსავალს? როგორ დავინახოთ აქ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, როგორც კარგი მეურნე და ორგანიზატორი, როგორ ვირწმუნოთ გამგეობის მიერ მუშაობის რადიკალურად გარდაქმნა? გაისად უკეთესი ამინდები იქნება? ვინ იძლევა ამის გარანტიას?

და ერთიც უნდა ითქვას: სიმონიანთხევის ჩამორჩენილ კოლმეურნეობას უთუოდ სჭირდება საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიონული კომიტეტის განსაკუთრებული ზრუნვა, მხარდაჭერა და დახმარება.

ერთიანეული ბიბლიოთეკა

ერომის ვახტზე

ქმემ გამოაჩინა

ამოსკოველთა თაოსნობას — სსრ კავშირის 60 წლის თავს 60 ბამკვრელური კვირა — ფართოდ გამოეხმაურნენ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეციტრუსეები.

მოსავლის კრეფის მოწინავეთა შორის ასახელებენ მე-16 ბრიგადის კომკავშირელ მეციტრუსეს დალი დავითაძეს, რომელიც ყოველდღიურად 406-420 კილოგრამ მანდარინს კრეფს ნორმით გათვალისწინებული 200 კილოგრამის ნაცვლად.

სურათზე: დალი დავითაძე მანდარინის კრეფის დროს.

ნ. ანასტასიევის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დეპუტატის საპატიო მოვალეობა

ამხანაგ მ. პ. გიორგაძის შეხვედრა ამომრჩევლებთან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იდეოლოგმა მ. პ. გიორგაძეძ იმოგზაურა კახეთის რაიონებში, ეწვია ადგილებს, სადაც ჩაიარა მისმა შრომითმა ახალგაზრდობამ, შეხვდა თანამემამულეებს.

შირაქის ველის ყოფილი მიგდებული მიწები რესპუბლიკის აღმოსავლეთში. ოცდაათიანი წლების დამდეგს ენთუზიასტ კომკავშირელთა რაზმები ებრძოდნენ გვალვას, მოუწყობელ ცხოვრებას, გაჰყავთ აქ პირველი ხნული, მათ შორის იყო პირველი ქართველი ტრაქტორისტი მ. გიორგაძეც.

ახლა ეს მიწები უხვმოსავლიანია. აქ მოჰყავთ ხორბალი, ხარობს ვაზი, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ამ რეგიონს სამართლიანად უწოდებენ რესპუბლიკის ბეღელს.

ახალგაზრდა თაობებს ამ შრომითი რომანტიკით აღსავსე წლებს მოაგონებს სიღნაღის შესასვლელთან კვარცხლბეკზე შეყენებული პირველი ტრაქტორი. აქ, ამ ისტორიულ ძეგლთან გაიმართა მ. პ. გიორგაძის შეხვედრა თავისი ყოფილი სატრაქტორო ბრიგადის წევრებთან. დიმიტრი გელაშვილი და გიორგი ბეგიაშვილი კარგა ხანია პენსიაზე არიან, მაგრამ დღესაც მწყობრში დგანან, თავიანთი დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ცოდნას უზიარებენ ახალგაზრდა ავალას.

რაიონი დღითი დღე მშვენდება. დიდი ოქტომბრის წლევანდელი დღესასწაულის წინ ასრულდა სიღნაღელთა სანუკვარი ოცნება: რაიონის ცენტრი უმოკლესი გზით დაუკავშირდა წნორს. აქ ამოქმედდა ოთხკილომეტრნახევარი ბაგირგზა. მან სიღნაღიდან წნორამდე მგზავრობის დრო ორმოცდაათი წუთიდან თხუთმეტ წუთამდე შეამცირა.

სწორედ ამ გზით ისარგებლა სპპატიო სტუმარმა, ლაგოდეხის რაიონში რომ მიდიოდა. იქაც დიდი ცვლილებები მოხდა. რაიონის მშრომელებმა შეასრულეს მეათე ხუთწლედის დავალება ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. აქ შენდება ახალი საშუალო სკოლები, საბავშვო ბაღები და ბაგები, საცხოვრებელი სახლები, მომდინარეობს რაიონული საავადმყოფოს რეკონსტრუქცია, სამშობიარო სახლის და ახალი საოფლო ამბულატორიების მშენებლობა.

ყოველივე ამას უშუალოდ დასდო ღვაწლი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში ამ რეგიონის მშრომელთა წარმომადგენელმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. პ. გიორგაძემ. კახეთის რაიონებში მოგზაურობისას იგი შეხვდა კოლმეურნეებს, ლაგოდეხის „საქღვინომანქანის“ ქარხნის მუშებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ეწვია თელავის ახალ თეატრს.

ლაგოდეხსა და თელავში გაიმართა ამხ. მ. პ. გიორგაძის შეხვედრა ამომრჩევლებთან, რომლებიც კახეთის რაიონებს წარმომადგენლობენ. აქ თავიანთ რჩეულს გულთბილად მიესალმნენ პარტიის ლაგოდეხისა და თელავის რაიკომების პირველი მდივნები ვ. გ. ბაკრაძე და ა. ვ. კობაიძე, ლაგოდეხის „საქღვინომანქანის“ ქარხნის მუშა გ. მ. სტეფანიშვილი და ახმეტის რაიონის წარჩინებული მევენახე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ვ. თვალიაშვილი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ს. ყოჩიაშვილი და სხვები.

დიდხანს არ შემწყდარა ოვაციები, როცა მ. პ. გიორგაძემ დამწრეთ აცნობა, რომ ასრულებს საპატიო დავალებას და ამხანაგ ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით დიდი სიამაყის გრძნობით გულითადად მიესალმება კახეთის რაიონების მშრომელებს და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს მათ.

ამომრჩევლებს რომ მიმართა, ამხ. მ. პ. გიორგაძემ გულთბილად მიულოცა კახელებს დიდი შრომითი გამარჯვებები, უსურვა მათ ახალი მიღწევები ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მან აღნიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლეული კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების დიდნაშვნელოვანი ეტაპია. ხუთი წლის მანძილზე ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 18 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მოცულობა — 26 პროცენტით, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია (საშუალო წლიური განგარიშებით) — 13 პროცენტით. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 16,5 პროცენტით გადიდდება.

ამ დღეებში გამართულ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიაზე გეგმებისა და ბიუჯეტების განხილვას წინ უძღოდა მუდმივი კომისიების დიდი მუშაობა ამ დოკუმენტების წინასწარი განხილვისა და მათ შესახებ დასკვნების მომზადებისათვის.

ახლა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს, აგრეთვე ბიუჯეტებს განიხილავენ ყველა აღგილობრივი საბჭოს სესიები. მათ მუშაობაში მონაწილეობს დაახლოებით 2,3 მილიონი დეპუტატი, რომელთა უმრავლესობა მუშები და გლეხები არიან.

მათი ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 1 აპრილის სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში და ამ საკითხზე პრეზიდიუმის დადგენილებაში. სახალხო დეპუტატთა საბჭოების უფროდღება ეპყრობა იმას, რომ საჭიროა უფრო სრულად გამოიყენონ სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები, რათა უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულება.

ამხ. მ. პ. გიორგაძე შეეხო დღის აქტუალურ ამოცანებს და აღნიშნა, რომ მთავარია უზრუნველყოთ შრომის ნაყოფიერებია გადიდების უპირატესი ტემპი წარმოების მოცულობის ზრდასთან შედარებით.

დასასრულ ამხ. მ. პ. გიორგაძემ თქვა:

— საბჭოთა ადამიანები მტკიცედ და ოპტიმიზმით შეჰყურებენ მომავალს. ჩვენი პარტიის ლენინურმა კურსმა ღირსეულად გაუძღო დროისა და ცხოვრების გამოცდას. წინ გველის დაძაბული, შემოქმედებითი მუშაობა სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და ბისათვის. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ კახეთის, მთელი რესპუბლიკის მშრომელები კვლავაც თავდადებით იშრომებენ, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ყმუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ამხ. მ. პ. გიორგაძის შეხვედრას ამომრჩევლებთან დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჰ. გ. გილაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

(საქინფორმი).



ამ შემოდგომაზე სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია დაამსახურა ჭაბუა ამირეჯიბის მრავალსერიანი რომანის „დათა თუთაშხიას“ მიხედვით მისივე სცენარით შექმნილმა ფილმმა, და აპა, შემოდგომის მინურულზე დაბადების 60 წლის თავს ხვდება ბოლო პერიოდის ქართული პროზის ყველაზე გახმაურებული რომანის ავტორი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს მას დაბადების დღეს და მთავრობის ჯილდოებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

მწერალ ჭ. ი. ამირეჯიბის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ჭაბუა (მზეკაბუკ) ირაკლის ძე **ამირეჯიბი** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჰ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1981 წლის 27 ნოემბერი.

საბჭოთა ტელევიზიის, კავშირგაბმულობისა და სატელევიზიო მრეწველობის მუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ დიდ მოვლენას — რელარული სატელევიზიო მაუწყებლობის დაწყებას 50 წლისთავს!

ახლა საბჭოთა კავშირს აქვს მსოფლიოში უდიდესი ტელევიზიის სისტემა, რომელიც დღენიადაგ ‘ითარდება და იხვეწება; მაღლდება ტელეგადაცემების იდეურ-მხატვრული დონე, მტკიცდება და ‘ალრთოვდება მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ‘ჩვენმა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა და მუშებმა შექმნეს ფერადი ტელევიზიის ‘ალი, თანამედროვე ტექნიკა, ტელეპროგრამების ‘ადაცემის ახალი სისტემები დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით.

ტელევიზია ჩვენი საზოგადოების სულიერი ცხოვ‘ების განუყოფელი ნაწილი გახდა, მას მნიშვნელ‘ოვანი წვლილი შეაქვს დიდი სახალხო-სამეურნეო ‘ოცანების გადაწყვეტაში, მშრომელთა პოლიტი‘ური, ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. საბჭოთა ტელევიზია დადებით გავლენას ახდენს აგრეთვე საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე.

დღეს ჩვენი მახარობელი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა წინაშე დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას. გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ეკონომისტები და რედაქტორები, რეჟისორები და ოპერატორები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები — ყველანი, ვინც ჩაბმულია ტელევიზიის მუშაობაში, კვლავაც მტკიცედ იბრძოლებენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, შექმნიან გადაცემებს, რომლებშიც მკაფიოდ აისახება საბჭოთა ცხოვრების წესი და რომლებიც დაამკვიდრებს კომუნისტურ სიმართლეს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ შრომითსა და შემოქმედებითს წარმატებებს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ლ. ბრეჟნევი.

გულითადი მილოცვა

იუგოსლავიის ეროვნულ დღესასწაულთან — რესპუბლიკის გამოცხადების დღესთან დაკავშირებით ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ნ. ა. ტიხონოვმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ სერგი კრაიგერს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ დუშან გრაგოსავეცსა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარეს ამხანაგ ვესელინ ჯურანოვიჩს.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 61 წლის თავის გამო



ლენინის მიერ დასახული გზით

ხალხების ისტორიაში ზშირად არ ხდება მოვლენა, რომელიც ძირეულად ცვლის მთელ მათს ბედს, საბავს პროგრესის ახალ გზებს, სომეხი ხალხისათვის, რომელმაც განვლო თავისუფლებისათვის ბრძოლის საუკუნოვანი გზა, ასეთი ისტორიული, გადამწყვეტი მოვლენა გახდა 61 წლის წინათ, — 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ამ მოვლენამ რესპუბლიკის მშრომელებს დაუსახა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან თავისუფალი, სინთალითა და სიბარულით აღსავსე სოციალისტური ცხოვრების უსაზღვრო ჰორიზონტები. მოკლე ისტორიულ ვადაში სოციალიზმის მეოხებით, დიდ რუსი ხალხისა და სხვა საბჭოთა ხალხების უანგარო დახმარებით სომხეთმა არნახულ სიმაღლეებს მიაღწია.

დღეს საბჭოთა სომხეთი არის სოციალისტური რესპუბლიკა, სადაც შექმნილია მაღალგანვითარებული თანამედროვე ეკონომიკა, კვლავის კულტურა და მეცნიერება, და დიდი საბჭოთა სამშობლოს სხვა რესპუბლიკებთან ერთად იგი მტკიცედ და გულდაჯერებით მიაბიჯებს კომუნიზმისაკენ.

დიდი ლენინი გულთბილად მიესალმა „იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან შრომელი საბჭოთა სომხეთის განთავისუფლებას“. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სომეხი ხალხის, სომხეთის კომუნისტური პარტიის წინაშე დადგა ახალი ხელისუფლების განმტკიცების, რევოლუციამდელი ხანის მიერ შემკვიდრეობით დატოვებული ჩამორჩენილი ეკონომიკის აღდგენის, სულიერი წყვდიადიდან ხალხის გამოყვანის, სოციალიზმის მშენებლობის უძნელესი ამოცანები.

ფ. გ. პეტროსიანი,
სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

განთავისუფლებული და საკუთარი მიწა-წყლის ბატონ-პატრონად ქცეული შრომელი მასები შთაგონებით, უმრეტი ენერგიით ჩაებნენ აღმშენებლობითს შრომაში და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე დროში ნამდვილი სასწაული მოახდინეს. უკვე 1940 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1913 წელთან შედარებით გაიზარდა 32-ჯერ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა — 2,5-ჯერ. კულტურულმა რევოლუციამ შეცვალა ადამიანთა სულიერი სახე, ფართოდ განვითარდა სომეხი ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

მაგრამ ახალი ცხოვრების შშვიდობიანი მშენებლობის პროცესი შეწყდა, როცა ჩვენ სამშობლოს მუხანათურად თავს დაესხნენ ფაშისტები. ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად სომეხი ხალხიც აღდგა ოქტომბრის მონაპოვრების, დიადი სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ამ მკაცრმა განსაცდელმა კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა ხალხების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა.

ომის შემდეგ განვლილი წლების მანძილზე რესპუბლიკაში შეიქმნა ასობით ახალი ქარხანა, ფაბრიკა, ელექტროსადგური. 1980 წელს საბჭოთა სომხეთის სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ 40-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს.

საბჭოთა სომხეთის მრეწველობა ორგანული ნაწილია ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისა, რომელსაც იგი აწვდის მრავალი სახეობის თანამედროვე პროდუქციას, მათ შორის ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებს, გენერატორებს, ტრანსფორმატორებს, ელექტროძრავებს, ჩარხებს, საბურავებს, ავტომობილებს, საშენ მასალებს, ქიმიურ და სხვა პროდუქციას. თავის მხრივ სომხეთი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იღებს ბევრ საჭირო ნაწარმს. საბჭოთა სომხეთის მაღალ ინდუსტრიულ დონეს მოწმობს ის ფაქტი, რომ მისი პროდუქციის 150 სახეობაზე მეტი იგზავნება მსოფლიოს 80 ქვეყანაში, მათ შორის ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით უკანასკნელ წლებში მიიღეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი სომხეთის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, რომლებიც წარმატებით ხორციელდება, ხელს უწყობს საწარმოო ძალების ახალ განვითარებას, რესპუბლიკის ეკონომიკის სწრაფ აღმავლობას.

წლითიწლობით სულ უფრო ფართოვდება მშენებლობა რესპუბლიკაში. საკმარისია ითქვას, რომ მეათე ხუთწლედში განხორციელდა ხუთი მილიარდი მანეთის კაპიტალური მშენებლობა, რაც 90-ჯერ აღემატება პირველი ხუთწლედის დონეს.

უკანასკნელ წლებში საეკსპლოატაციოდ გადაეცა სომხეთის ატომური ელექტროსადგური, არპა-სევანის უნიკალური გვირაბი, ერევნის მეტროპოლიტენის პირველი რიგი, აზატის და ჯოგაზის წყალსაცავები, ერევნის აეროპორტის „ზვარტნოცის“ პირველი რიგი, მეგრი-ქაჯარანის ავტოტრასა, მასის-ნურნუსის 48 კილომეტრი სიგრძის რკინიგზა მდინარე რაზდანზე გადებული უნიკალური ერთმალიანი ხიდით და ბევრი სხვა ობიექტი, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ფართო ჰორიზონტები დაუსახა გლეხობას. პარტიის ლენინური აგრარული პოლიტიკის განხორციელების შედეგად სოფლის მშრომელი ცხოვრობს შეძლებული და კულტურული ცხოვრებით, სოფლად შეიქმნა და წარმატებით ვითარდება მსხვილი წარმოება, რომელიც აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით და კოლექტიური შრომას ემყარება.

პარტიის ზრუნვისა და გაუწყვეტელი ყურადღების მეოხებით უკანასკნელი 15 წლის მანძილზე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დაბანდებულია ორი მილიარდი მანეთი, რაც აღემატება საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა წლების მანძილზე დარგისთვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა მოცულობას.

საბჭოთა სომხეთის მშრომელთა დიდმა მიღწევებმა, მათმა პატრიოტულმა საქმეებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მაღალი შეფასება დაიმსახურეს. რესპუბლიკის დროშას ამშვენებს სამი ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენები.

გასული 61 წლის მანძილზე რესპუბლიკის ისტორიული მონაპოვრები მიღწეულია მბრი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომით. თავისი ღირსეული წვლილი ამ გამარჯვებებში შეაქვს ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას, რესპუბლიკის კომკავშირს, რომლის 60 წლის თავი ახლახან ფართოდ და ზეიმით აღვნიშნეთ.

სომეხი ხალხი თავის დიდ მიღწევებს, თავის დღევანდელ ბედნიერ ცხოვრებას უნდა უმადლოდეს მომძე საბჭოთა ხალხებს და უწინარეს ყოვლისა, დიდ რუს ხალხს, რომლებიც უანგარო დახმარებას იწევენ მათ სოციალიზმის დიდებული შენობის აგების საქმეში. ოქტომბრის მზის ქვეშ აღორძინებული სომეხი ხალხი იყო და მუდამ ერთგული იქნება საბჭოთა ხალხების დიდი ძმური მეგობრობის უკვდავი ლენინური იდეისა.

რესპუბლიკის წარმატებებში დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებას საქართველოს, აზერბაიჯანის, სოხეთისა და როსტოვის ოლქის მშრომელებს შორის. მეგიდრო თანამშრომლობა აკავშირებს თბილისისა და ერევნის ჩარხშენებლებს, ქუთაისისა და ლენინაკანის ფეიერებს, სუმგაითისა და კიროვაკანის ქიმიკოსებს, მოძმე რესპუბლიკათა ბევრი რაიონის მშრომელებს.

წელს სომხეთის სოციალისტური აღორძინების სახელოვან დღესასწაულს, აღვნიშნავთ ღირსშესანიშნავ პერიოდში — სკკპ ისტორიული XXVI ყრილობის წელს, რომელიც თანამედროვეობის უდიდესი მოვლენა და ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა. რესპუბლიკის მშრომელებმა ენთუზიაზმით აღიქვეს ყრილობის გადაწყვეტილებანი. ისინი მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს პარტიის ბრძნულ ლენინურ და საგარეო ლენინურ პოლიტიკას, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — თანამედროვეობის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მრავალმხრივ ნაყოფიერ საქმიანობას.

სურათზე: ქ. ერევანი, ლენინის სახელობის მოედანი.

მალე წარმატებით დამთავრდება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი, ახალ ნაბიჯს გადადგამს წინ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. სამრეწველო წარმოების 10 თვის გეგმა შესრულებულია 103,1 პროცენტით, რეალიზაციისა — 102,6 პროცენტით, მთლიანი პროდუქციის მოცულობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 7,6 პროცენტით გაიზარდა. გამოშვებულია 145 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

დიდი გამარჯვება მოიპოვეს რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა. მათ შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ყურძნის, ბოსტნეულის, ჩაის ჯარზლის, კარტოფილის მიყიდვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი. სომხეთის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მეცნიერებსა და სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს ეს დიდი წარმატება გულთბილად მიეულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

წარმატებით მიდის საქმე მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაში. ოცდამეცხრამეტე წელია ჩვენი ხალხი შრომობს მშვიდობიან პირობებში. ეს არის დამსახურება კომუნისტური პარტიისა, საბჭოთა მთავრობისა, მშვიდობისათვის ნაცადი მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისა, რომელმაც ახლახან დაამთავრა ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც მოლაპარაკებას აწარმოებდა დაძაბულობის შენელების გაღრმავების საჭირბოროტო პრობლემებზე. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართულმა პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ განიხილეს ჩვენი ქვეყნის პროგრესისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

სომხეთის კომუნისტები, ყველა მშრომელი მოჭიდების საბოძოლო პროგრამად აღიქვამენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში ჩამოყალიბებულ დებულებებსა და

ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის, ყველაფერი ადამიანისათვის!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დოკუმენტების შესწავლის გამო

ძვეყნის პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა მუშაობა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დოკუმენტების შესწავლა-პროპაგანდისათვის. ეწყობა ერთიანი პოლიტდღეები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, ლექციები, მშრომელთა წინაშე გამოდიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები.

ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების უფრო ღრმა შესწავლის მიზნით რეკომენდებულია ყველა ფორმის პარტიულ სწავლებასა და ეკონომიკურ განათლებაში მოეწყოს ორი მეცადინეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალების გამო.

პროპაგანდისტთა დასახმარებლად ვაქვეყნებთ მეცადინეობის სანიმუშო გეგმას.

I. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პარტიისა და ხალხის შთამაგონებელი პროგრამაა

ხუთწლედის მთავარი ამოცანა. ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის, სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლების პარტიის კურსი. წარმატებით რომ შევასრულოთ ხუთწლედი, საჭიროა გავაორკეცოთ, გავასამკეცოთ თითოეული კოლექტივის, თითოეული მშრომელის მეცადინეობა, დავაჩქაროთ მეურნეობრიობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნა.

სამეურნეო მშენებლობის ყველაზე აქტუალური საკითხები და მათი გადაწყვეტის გზები.

სასურსათო პრობლემა ხუთწლედის ცენტრალური პრობლემაა როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. მისი გადაწყვეტის საფუძველია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების სწრაფი ტემპი. მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტებით ხალხის შეუფერხებელი მომარაგება მოითხოვს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მისი მომსახურე დარგების კარგ მუშაობას. ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების ტექნიკური დონე, სამედოობა და ხანგამძლეობა. სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობა და რეკონსტრუქცია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. გულმოდგინედ სრულვყოთ სოფლის მეურნეობის მართვის ყველა აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური მექანიზმი და სისტემა, მივაღწიოთ მაღალ საბოლოო შედეგებს.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის შემდგომი წარმატებული განვითარება. დასავლეთ ციმბირის გაზის მუშაკთა, მენავთობეთა, შენებელთა გმირული მუშაობა. დასავლეთ ციმბირის სომდიდრეთა ათვისება საყოველთაო-სახალხო საქმეა. ყველათანად და გონივრულად გამოვიყენოთ ბუნებრივი სიმდიდრე, ეფექტიანად და მომჭირნედ ვხარჯოთ ენერგორესურსები, უფრო სწრაფად დავნერგოთ ტექნიკა და ტექნოლოგია, რომელიც ენერგიას ზოგავს.

კაპიტალური მშენებლობა ხუთწლედის გადამწყვეტი უბანია. ძირითადი ფონდების ამოქმედების მნიშვნელოვანი დაჩქარება კაპიტალურ დაბანდებათა ნაკლები ზრდით. ასამუშავებელ ობიექტებზე უზრუნველყოფთ შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების მაქსიმალური კონცენტრაცია. ავამაღლოთ სამშენებლო ორგანიზაციათა მობილურობა. დროულად ავითვისოთ საწარმოო სიმძლავრენი, განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ საკომპენსაციო საფუძველზე მშენებარე ობიექტებს.

მიზანდასახულად და ყველგან გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება, ამავალლოთ სახალხო მეურნეობის ეფექტიანობა, მისი ინტენსიფიკაცია.

ეკონომიკა ნამდვილად ეკონომიური რომ გავხადოთ, ბევრი და ძუყაითად უნდა ვიმუშაოთ, ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ შეძენილი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი, დავაჩქაროთ ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა, უკეთ გამოვიყენოთ შრომითი რესურსები, თანამიმდევრულად შევამციროთ ხელის შრომა, განსაკუთრებით მძიმე შრომა.

საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის განვითარება. სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება უპირველესი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეა.

სრულვყოთ ეკონომიკის მართვა, მეურნეობრიობის მექანიზმი. ყველა სასოფლო-სამეურნეო რგოლის შეთანხმებული მუშაობა ეკონომიკის ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა. მართვის ორგანოებმა, მთელმა სამეურნეო მექანიზმმა ხელი უნდა შეუწყოს საწარმოებისა და გაერთიანებების უკეთ მუშაობას, უზრუნველყოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სისტემის არსებითი გაუმჯობესება.

საბჭოთა ხალხის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მზარდი ურთიერთკავშირი. ხუთწლედის სოციალური პროგრამა. „ბ“ ჯგუფის უპირატესი ზრდა. სანიმაო მშენებლობის გაძლიერება. ხელფასის, საპენსიო უზრუნველყოფის ზრდისა და სრულყოფის დიდი საერთო სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი. ბავშვიანი ოჯახების, მოზრდილი დედების, ახალდაქორწინებულებისადმი სახელმწიფო დახმარება. სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება.

ჩვენი განვითარების ზოგიერთი სიძნელე. თვალს არ ვარიდებდეთ სიძნელეებს, ვპოულობდეთ მათი დაძლევის სწორ გზებს, შეგვეძლოს მასების დარაზმვა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად — ბოლშევიკთა ლენინური ტრადიციაა.

მაღალგანვითარებული საწარმოო ძალები, საბჭოთა ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და მორალური ერთიანობა, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებში ხორცშესხმული წინსვლის მკაფიო სტრატეგია კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა საწინდარია.

მეთერთმეტე ხუთწლედი უნდა გახდეს და გახდება კიდევ სახელოვანი ნიშანსვეტი კომუნიზმის გზაზე. ხუთწლიანი გეგმა კანონია. იგი არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც უნდა შესრულდეს. ამისათვის საჭიროა გეგმის ციფრები განვამტკიცოთ ეკონომიკური და ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიებებით, რომლებიც მათს შესრულებას უზრუნველყოფენ, ამისათვის საჭიროა ორგანიზებულობა, საქმიანობა, დისციპლინა როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე.

სამეურნეო ცხოვრებაზე პარტიული ზეგავლენის გაძლიერება. საჭიროა გააზრებული და მომთხოვნელი საკადრო პოლიტიკა, სიმტკიცე და მიზანდასახულობა საერთო-სახელმწიფო ინტერესების დაცვაში, მტკიცე ბრძოლა მიღებული გადაწყვეტილების, საბჭოთა კანონების, პარტიული, კომუნისტური ეთიკის ყოველი დარღვევის წინააღმდეგ.

ყოველმხრივ გავზარდოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობა. თითოეული კომუნისტი თავის უბანზე მთელ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას უნდა ახმარდეს რეზერვების ძიებას, შრომის ეფექტიანობის ამაღლებას, იძლეოდეს შრომითი თავდადების მაგალითს.

1982 წელი აღინიშნება დიდი პოლიტიკური მოვლენებით (პროფკავშირებისა და კომკავშირის ყრილობები, ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, სსრ კავშირის 60 წლის თავი), რომლებმაც ახალი იმპულსი უნდა მისცენ პარტიისა და ხალხის ერთიანობის შემდგომ განმტკიცებას, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირებას, მასების პოლიტიკური, შემოქმედებითი აქტიურობის ამაღლებას.

ყოველმა საბჭოთა ადამიანმა, იმის მიუხედავად, თუ რა პოსტი უკავია, სად შრომობს, უკეთ, უფრო ეფექტიანად უნდა იმუშაოს.

II. სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლების სახელმწიფო გეგმა

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1982 წლის ძირითადი მაჩვენებლები.

საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და მისი ზრდის ფაქტორები.

მრეწველობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება. მისი ძირითადი ამოცანაა უფრო სრულად დაკმაყოფილოს სახალხო მეურნეობის მთხოვნილებანი წარმოების საშუალებებზე, გაზარდოს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება და გააუმჯობესოს მისი ხარისხი, უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკური განახლება.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება. სოფლის მეურნეობის წამყვანი ორი სასურსათო პრობლემის გადაწყვეტაში. ყოველმხრივ გავზარდოთ კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა, მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის პროდუქტიულობის გადიდებას. სოფლის მეურნეობის შემდგომი ტექნიკური განახლება, მიწების ქიმიზაციისა და მელიორაციის განვითარება, ინდუსტრიული ტექნოლოგიის, მოწინავე გამოცდილების დანერგვა. ყოველმხრივ გავზარდოთ მარცვლეულის წარმოება, გავადიდოთ მოსავლიანობა. მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია სოფლად. ბუნების დაცვა საყოველთაო სახალხო საქმეა.

კვების, ხოროცისა და რძის მრეწველობის განვითარებას — ყოველდღიური ყურადღება.

ყველა სახეობის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარება.

კაპიტალური მშენებლობა მეთერთმეტე ხუთწლედში.

სოციალური განვითარება და ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ფართო პროგრამა.

მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის განვითარება და საწარმოო ძალების განლაგება.

სახელმწიფო გეგმა კანონია ყველა პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოსათვის, თითოეული კოლექტივისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის **სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის შესახებ.** ღირსეულად შეხვდეს სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს, აღნიშნოს მეთერთმეტე ხუთწლედი დამკვრელური შრომით, ახალი წარმატებებით სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში—ეს თითოეული კოლექტივის, თითოეული საბჭოთა ადამიანის პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობაა.

□ □

ყველა პარტიული კომიტეტი, პოლიტგანათლების სახლი და კაბინეტი, ეკონომიკური განათლების საბჭო მოვალეა დაეხმაროს პროპაგანდისტებს მეცადინეობის მაღალ იდეურ-თეორიულ და მეთოდიკურ დონეზე ჩატარებაში ცხოვრებასთან, მეთერთმეტე ხუთწლედში თითოეული კოლექტივის პრაქტიკულ ამოცანებთან ორგანული კავშირით.

პროპაგანდისტთა საპატიო ვალია დაეხმარონ თითოეულ მსმენელს, რომ ღრმად დაეუფლოს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დოკუმენტების იდეურ სიმდიდრეს, კარგად ესმოდეს ხუთწლედის მთავარი ამოცანა, იცნობდეს თავისი რესპუბლიკის, დარგის, მშობლიური სანარმოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, სამეცნიერო კოლექტივის განვითარების ძირითად მაჩვენებლებს, განსაზღვროს თავისი ადგილი 1982 წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

საქართველოს ისტორიკოსთა ყრილობა

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საქართველოს ისტორიკოსებმა დიდი და მრავალმხრივი მუშაობა გასწიეს. საკმარისია დავასახელოთ რვატომიანი ფუნდამენტური ნაშრომის „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ გამოცემა. ახლა მზადდება ისტორიკოსთა ამ კოლექტიური ნარკვევის რუსული გამოცემა.

ტრადიციული გახდა „ისტორიკოსთა ბორჯომის შეხვედრები“. მათი რეკომენდაციებით მომზადდა და გამოიცა თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის მეცნიერთა ერთობლივი შრომები. რესპუბლიკის ისტორიკოსთა საზოგადოების ინიციატივით შეიქმნა დისერტაციებისა და მათი დაცვის მასალების რუსულ ენაზე თარგმნის კომისია, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა სამეცნიერო ხარისხების მაძიებელთა შრომა.

საქართველოს ისტორიკოსთა საქმიანობის ამ და მრავალ სხვა მხარეზე ილაპარაკეს რესპუბლიკის ისტორიკოსთა საზოგადოების V ყრილობაზე. ახლა ეს საზოგადოება თავის რიგებში აერთიანებს 14 ათას წევრს, 4700-ით მეტს, ვიდრე 5 წლის წინათ. ისინი მუშაობენ რესპუბლიკის ყველა კუთხეში.

დელეგატებმა მოისმინეს და განიხილეს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებლის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ა. მ. აფაქიძის მოხსენება.

ყრილობამ საქართველოს ისტორიკოსთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ს. ჩიტაია. (საქინფორმი).

მეგობრობის საზოგადოების გამგეობის სხდომა

28 ნოემბერს გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის სხდომა, რომელმაც განიხილა საზოგადოების გადაუდებელი ამოცანები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მოხსენება გააკეთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ნ. მელაძემ.

სხდომას დაესწრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ვ. ლაშქარაშვილი. (საქინფორმი).

ახლა განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება სოფლის მეურნეობას, მთელი ძალები, საშუალებები და რეზერვები უნდა გამოვიყენოთ სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად. ამის შესახებ ვრცლად ილაპარაკა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე თქვა:

ამას წინათ ვეწვივე ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსს. ყველას გირჩევთ ნახოთ. უნდა მოგახსენოთ, რომ უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ეს კომპლექსი ჩვენს თვალწინ გარდაქმნა და ახლა ყველა საფუძველი გვაქვს მივიჩნიოთ, რომ დღეს იგი აკმაყოფილებს ყველაზე მაღალ მოთხოვნებს.

კარგი გამოცდილება ყველგან უნდა დაინერგოს! ეს არის ერთ-ერთი ნაკადი გზა სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად.

გარდაბნის რაიონის ჯანდარის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელ საბჭოთა მეურნეობაში მშვენიერ შედეგებს მიაღწიეს. აქ ბევრი რამ იხეთი გაკეთეს, რომლის გაზიარება სხვა მეურნეობებსაც გამოადგებათ. ჯანდარელთა გამოცდილებაზე „კომუნისტის“ კორესპონდენტს ჯ. ქურხულს ესაუბრნენ საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ო. ბოკერია და ჯანდარის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ვ. ბებიაშვილი.

კორესპონდენტი: როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1978 წლამდე ჯანდარელი მეცხოველეები აწარმოებდნენ და სახელმწიფოს აბარებდნენ გათვალისწინებულის მხოლოდ ნახევარს — 1200 ტონა ხორცს. პირუტყვის სადღეღამისო წონა-მატება 180-220 გრამი იყო. სახელმწიფო გეგმების ასე, მხოლოდ სანახევროდ შესრულება მეურნეობას აღარიბებდა. ყოველი სამეურნეო წელიწადი მისთვის საშუალოდ მილიონ-მილიონნახევარი მანეთის ზარალით მთავრდებოდა. ან მოგებით როგორ დაამთავრებდნენ წელიწადს, როცა ყოველგრამი ხორცის წარმოება 2 მანეთისა და 10 კაპიკის ნაცვლად 5 მანეთი და 56 კაპიკი უჯდებოდათ.

დღეს კი ჯანდარელი მეცხოველეების შედეგები სასახელოც არის და მისაბაძიც. მეურნეობაში სადღეღამისო წონამატებამ 600 გრამს მიაღწია. კილოგრამი ხორცის წარმოება 1 მანეთი და 89 კაპიკი უჯდებათ. წელიწადში უკვე აწარმოებენ და სახელმწიფო მთგან ყიდულობს 2.600 ტონა ხორცს. როგორ შეძლეს ამის გაკეთება ჯანდარელმა მეცხოველეებმა სულ რაღაც სამიოდე წელიწადში?

ო. ბოკერია: წარმატებები ძალიან დიდად არის დამოკიდებული იმ კაცის პროფესიულ და ორგანიზატორულ ნიჭსა და უნარზე, რომელიც მეურნეობას ხელმძღვანელობს. ჯანდარაში ზედიზედ იცვლებოდ ნ ე ნ დირექტორე ბ ი. ვერ ვიტყვით, რომ ისინი მაინცდამაინც მხოლოდ წაგლეჯაზე ფიქრობდნენ, მაგრამ გაძლებაზე კი ნამდვილად იყვნენ. არავის უნდოდა ჩამორჩენილ მეურნეობაში მუშაობა, მოშლილი იყო შრომის დისციპლინა. ცუდი ფულადი არწლაურების გამო ჯანდარელები უფრო სხვაგან ეძებდნენ სამუშაოს. რა მოეხერხებინათ ამ მეურნეობისათვის? ბოლოს და ბოლოს, მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ეს საკითხი. ხომ არ შეიძლებოდა, ყოფილიყო ისეთი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელი საბჭოთა მეურნეობა, სადაც ერთი კილოგრამი ხორცის წარმოება 5 მანეთი და 56 კაპიკი უჯდებოდათ?

ჟმგვარი მეურნეობა მძიმე ტვირთად აწვებოდა სახელმწიფო ბიუჯეტს და ამდენად არც ხალხისთვის იყო გამოსადეგი და არც ქვეყნისთვის. ბევრი რამ ძირეულად უნდა შეცვლილიყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, პარტიის გარდაბნის რაიკომმა განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინეს ჯანდარელი მეცხოველეების მიმართ. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ საგულდაგულოდ შეარჩიეს ხელმძღვანელი. ვაჟა ბებიაშვილის ხელმძღვანელობა ძალზე კარგი არჩევანი გამოდგა. იგი გონიერი, პრინციპული მეურნე კაცია. რეზერვები პირადად ამ კაცმა გამოძებნა და აამოქმედა. მართალია, დიდ პრაქტიკულ დახმარებას ვუწევდით, მაგრამ მთავარი მაინც შიდა სამუშაოები იყო. მეცხოველეები დაირაზმნენ და თითქოს შეუძლებელი გაკეთეს. ახალი დირექტორის მოსვლისთანავე თანდათან გამოიკვეთა სწორი გზა, პირველივე შედეგები თვალსაჩინო იყო, მერე თითქოს უფრო ადვილი გახდა მუშაობა.

ადრე მეურნეობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ წამყვან უბნებზე ხელმძღვანელებად მუშაობდნენ ისეთი პირები, რომლებიც ბევრს არას დაგვიდევდნენ საზოგადოებრივ-სახელმწიფო საქმეს. მათ არ ჰყოფნიდათ გამოცდილება. გა-

1. ჯანდარის დიდი ფერმები

ნათლება და პასუხისმგებლობის გრძნობა მინდობილი საქმის გასაძღოლად.

მერე ადრეები ძირფესვიანად გადახალისდა. ამჟამად ფერმებს ხელმძღვანელობენ უმაღლესი და საშუალო სპეციალობის მქონე ახალგაზრდები. მათთან მუშაობა უფრო ადვილია, რადგან, როგორც სპეციალისტებმა, კარგად იციან თავიანთი საქმე.. თანაც ახალგაზრდები არიან და მშვენივრად აფასებენ პარტიის რაიკომის, მეურნეობის დირექციისა თუ პარტიული ორგანიზაციის ნდობას. ეს ახალგაზრდები, როდესაც ხედავენ ერთმეორის წარმატებებს, უფრო ხალისიანად, პატრიოტულად ერთგულად მუშაობენ. მათთვის დღეს მეურნეობის ავტორიტეტი ძალიან პატივს ნიშნავს

ამჟამად ჯანდარელ მეცხოველეებს აქვთ მანქანებისა და ტრაქტორების ძლიერი პარკი. 113 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი და 85 ავტომანქანა ემსახურება მეურნეობას. ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს თავიანთი ძალებით უძღვებიან. თუ როგორ, ამის სალიუსტრაციოდ ორიოდე ციფრს გავიხსენებთ. ადრე მეურნეობაში 3 ათასი ტონა თივა მზადდებოდა. წლეულს 7.500 ტონა თივა დაზვინეს. ადრინდელი 8-9 ათასი ტონის ნაცვლად 13-14 ათასი ტონა სენაჟი ჩადეს. ასევე 5-6 ათასი ტონა სილოსის ნაცვლად კი 26 ათასი ტონა მოიმარაგეს. მთელი ეს საკვები თამამად უზრუნველყოფს 12 ათასი სული პირუტყვის გამოკვებას. ადრე კი 7 ათასი სულამდე პირუტყვი

3. ბებიაშვილი: თითქოს უბრალო ამბავია, მაგრამ დიდ ჯაფად დაგვიჯდა ჩვენი ფერმების შემოღობვა. ადრე პირდაპირ გაპარტახებული და შემოღობილი იყო ეზოები. ფერმებიდან იკარგებოდა საქონელი, იტაცებდნენ საკვებს. ამის გამო თვით მატერიალურ პასუხისმგებელ პირებს, ბრიგადირებს, მომვლელებს, უძნელდებოდათ მუშაობა და ხშირი იყო კადრების დენადობა.

შემოვღობეთ ეზოები, ფერმები უფრო კეთილმოწყობილი გავხადეთ. ამან ძირეულად აღმოფხვრა საქონლის დატაცების ფაქტები. გავაუმჯობესეთ სამუშაო პირობები, შევქმენით მატერიალური წახალისების ფონდები. თუ ადრე მეცხოველეების ხელფასი თვეში 100-150 მანეთს არ აღემატებოდა, ამჟამად მათი შრომის ანაზღაურება 300 მანეთზე მეტია. უფრო მეტ გასამჯელოს იღებენ მექანიზატორები.

ო. ბოკერია: დიდი ყურადღება ექცევა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას. თუ ადრე სახელმწიფოსათვის მიყიდული თითოეული სული პირუტყვის საშუალო წონა არ აღემატებოდა 250 კილოგრამს, ახლა, სწორედ ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების გზით, ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონა 340 კილოგრამია. მეურნეობა მარტო სახელმწიფოსათვის ჩაბარებული პირუტყვის საშუალო წონის გაზრდით წლიურად 600-700 ტონა ხორცს აწარმოებს. ეს თავის დროზე ჯანდარელი მეცხოველეების დამატებითი რეზერვი გახდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დახმარებით, იმისათვის, რომ მეურნეობა სრულად დაიტვირთოს სულადობით, ჯანდარის მეურნეობას მოზარდეულს აწვდიან გარდაბნის რაიონის, აგრეთვე მცხეთის, კასპის, ხაშურისა და

კორესპონდენტი: ჯანდარის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელ საბჭოთა მეურნეობაში სწორედ ამ სამიოდე წელიწადში მოხდა სასაკეთო გარდატეხა. აქ თითქოს ალარ არსებობს თთავარი და მეორეხარისხოვანი საქმე. ყველაფერი მნიშვნელოვანია, რაც ხორცის წარმოებას ემსახურება. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ ზარალიან მეურნეობას ის შეაძლებინა, რომ წელიწადში 8 მილიონი მანეთის შემოსავალს იძლევა. მოგებამ 2 მილიონ 300 ათას მანეთს მიაღწია. მკვეთრად გაზარდა პირუტყვის სადღეღამისო წონამატება, ჩასაბარებელი პირუტყვის წონა. შესაბამისად შეცირდა ხორცის წარმოების თვითღირებულება. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რა იქნება მერე? დაიმშვიდეს გული ჯანდარელმა მეცხოველეებმა, თუ მიაჩნიათ, რომ წარმატებები საკმარისი არ არის?

3. ბებიაშვილი: გაისად ჩვენ უნდა ვაწარმოოთ და სახელმწიფოს მიეყიდოთ 2.800-2.900 ტონა ხორცი. ვფიქრობთ, რომ 1983 წელს ქვეყანას მივცეთ 3.100 ტონა ხორცი, მაგრამ ამასაც არ ვიკმაყოფილებთ—მეეორეტომეტე ხუთწლედის ბოლოს, სახელმწიფოს უნდა მივაყიდოთ 3.500-3.700 ტონა ხორცი. ეს კი, ჩვენი ამჟამინდელი მყარი, მდგომარეობის მიუხედავად, ძალზე ძნელი, მაგრამ სამატონო საქმეა. გამარჯვების იმედი გვაქვს.

ო. ბოკერია: ჯანდარელ მეცხოველეებმა ეს ფერმები ... ძალიანია. რაკი მათ თავი ... ხელეს, რესპუბლიკა ... ხელმძღვანელობენ ... მხარდაჭერა ... თუნდაც იმით გამოიხატ... რომ გაჩიანში სასწრაფოდ ... ნდა მძლავრი წყალსატეხი ... სადგური, რომელსაც ძალ... წამში 2 კუბური მეტრი ... წყავი წყალი მოგვცეს. სწორ... რწყვის გონივრული და რაც... ნალური გამოყენებით (... თმა უნდა იქვე იგულის... სასუქების გამოყენება, საკვ... ბალახების ჯიშობრივი გაუმ... ბესება), ვფიქრობთ, 1982-19... წლებიდან საკვები ბალახებ... საშუალო ჰექტარობრივი მო... ვლიანობა 300 ცენტნერამდე ... ვზარდოთ. ეს დიდი რეზერ... ხორცის წარმოების გასაადვილ... ლად.

ჩვენი მეცხოველეები საფუ... ვლიანად გაეცნენ უნგრეთი... ცხოველეობის პროდუქტებ... წარმოებისა და პირუტყვის ... შობრივი შემადგენლობის გ... მჯობესების საკითხებს. ჯან... რის მეურნეობაში მოვიწვევ... უნგრეთის ერთ-ერთი კოოპერ... ციული გაერთიანების ხელმ... ნელი იანოშ ფორგო. მან მოინ... ნა ჯანდარელი მეცხოველეებ... ტექნოლოგია და გვიჩინა ... შაობა წარვმართოთ ახალი ... შების გამოსაყენებლად. კერძ... საბჭოურ კოსტრომულ ჯიშ... შეეუღაროთ ლმუზნის ... ამ ჯიშების შეჯვარებით უნ... თის იმ გაერთიანებაში, რომ... ლსაც იანოშ ფორგო ხელმძ... ნელობს, ღებულობენ ახალ ... და იგი 6 თვის ასაკში ... 300 კილოგრამს იწონის, ხო...

ჩაბარების დროს პირუტ... ვის წონა 500-600 კილოგრ... აღწევს.

ჯანდარელი მეცხოველეებ... უკვე შეუდგნენ უნგრელთა ... მოცდილების პრაქტიკულ ... ხორციელებას. სასწრაფოდ ... შენეთ სანაშენე რეპროდ... ტორი ათასი სულისათვის, ... დაც უკვე შემოვიყვანეთ ... სული ჯოსტრომული ჯიშის ... ნაშენე ფური. საქართველ... ზოოვეტინსტიტუტის მეცნ... უშუალო დახმარებით დავიწ... ჯიშიანი ხბორების გაზრდ... ისიც საოჯახელია, რომ კ... ტრომულისა და ლიმუზინის ... შების შეჯვარებით მიღებუ... პირუტყვის შესანახად ნაკ... ბი საკვები საჭირო, რაც ... ამ ჯიშის პირუტყვს სწორ... საბორცე კუნთები უვითარ... და არა ცხიმოვანი, ამასთან ... მისი ხორცის გამოსავლიანო... სხვა ჯიშის პირუტყვთ... შედარებით გაცილებით მეტ... ამჟამად ჩვენი მიზანი ის ... რომ თითოეულ სახნავ-სათ... ჰექტარზე 700-800 კილოგ... მი ხორცი მივიღოთ. ამის მ... წვეის ყოველგვარი საფუძვ... გვაქვს. რაკი ჯანდარის მეურ... ობას 5 ათასი ჰექტარი ფარ... ბი აქვს, უნდა ვიფიქროთ, რ... ხუთწლედის დასასრულს 4 ... ტონამდე ხორცს ვაწარმოებთ.

ვინმეს რომ ამის გაკეთ... შეუძლებელი არ ეგონოს, შ... ხსენებთ, რომ სამი წლის წინ... ჯანდარაში მხოლოდ 1.200 ტ... ნა ხორცს აწარმოებდნენ. დ... უკვე ქვეყანას 2.600 ტონა ხ... რცს ვაძლევთ. მაშასადამე შ... ძელით, რომ წელიწადში 1.40... ტონით მეტი ხორცი მიგვეყ... სახელმწიფოსათვის. უახლ... სამ წელიწადში კვლავ 140... ტონით უნდა გავზარდოთ ხო... ცის წარმოება, რომ სასურვ... მიზანს — 4 ათას ტონას მივ... ღწიოთ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთავ... რი ხიძნელეები გადალახულ... რომ ჯანდარის მსხვილფეხ... რქიანი პირუტყვის სასუქებელ... საბჭოთა მეურნეობის მეცნ... ლეები ნაყოფიერად და გაა... რებულად შრომობენ და თავს ... შეირცხვენენ. მათი სიტყვა ... საქმე სასურსათო პროგრამ... განხორციელებაში „უთუოდ ... მაჯერებელი იქნება.

2. ვნერგავთ უნარჩენო ტექნოლოგიას

ტონა ბოლნისის რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობები. პირუტყვის გამოკვებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ, თუ ადრე ჯანდარის მეურნეობა მოზარდს მომზადებელ საზოგადოებრივ მეურნეობებს კილოგრამში 2 მანეთს უხდიდა, დღეს ჩამბარებლებს ორმანეთ-ნახევარს უნაღდებენენ. რაკი ჯანდარელი მეცხოველეები ეკონომიურად მოღონიერდნენ, შესაბამისად გაზარდეს მოზარდეულს შესასყიდი ფასიც. ამიტომაც მეურნეობებში ხალისით ჰყიდიან მათთვის სახორცე ხბორებს. რაკი ყარგ ფასს აძლევენ, თვით მოზარდის მომწოდებელი მეურნეობებიც დაინტერესებული არიან, რომ ჯანდარელებს ჯიშიანი და ჯანმრთელი პირუტყვი მიჰყიდონ.

3. ბებიაშვილი: აი, როგორ გავაუმჯობესეთ საკვების ხარისხი; ადრე თუმრე მეურნეობას თავისი საკვები არ გააჩნდა. რასაც შოულობდა, პირუტყვს იმას აძლევდა. ახლა მეურნეობას თავად აქვს საკვების საკუთარი წარმოების ბაზა. დიდ ყურადღებას ვუთმობთ საკვების, როგორც როდენობრიობას, ასევე ხარისხს.

ჩვენ დავაინტერესეთ საკვებმომპოვებლები და მექანიზატორები. როდესაც ისინი მინდვრად მუშაობენ, უფასოდ სადილობენ. ამასთანავე მოქმედებს შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიული წესი. საკვებმომპოვებლებმა იციან, თუ უხვ და ხარისხიან საკვებს დაამზადებენ, ხელფასის გარდა პრემიასაც მიიღებენ, ოღონდ ეს პრემია კლებულობს თუ საკვები დამზადდება, მაგრამ მერე მას დროულად ვერ შეინახავენ და ხარისხს გაუფუჭებენ.

რაღა თქმა უნდა, რომ ყველა დაინტერესებულია, დაამზადონ პირუტყვის უხვი და ხარისხიანი საკვები.

კორესპონდენტი: ჯანდარის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სასუქებელ საბჭოთა მეურნეობაში სწორედ ამ სამიოდე წელიწადში მოხდა სასაკეთო გარდატეხა. აქ თითქოს ალარ არსებობს თთავარი და მეორეხარისხოვანი საქმე. ყველაფერი მნიშვნელოვანია,

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი 60 წლისაა

სოციალისტური მეურნეობის [illegible]ლირების აპარატს უწოდ[illegible] სსრ კავშირის სახელმწიფო [illegible] — საბჭოთა საკრედიტო [illegible]ტემის ძირითად რგოლს, ქვეყ[illegible]ერთიან საანგარიშსწორებო [illegible]ტრს. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი, რომელიც აღრიცხვისა [illegible] წარმოებისადმი, აგრეთვე სა[illegible]ლის ბრუნვისადმი მანვითით [illegible]ტროლის დიდმნიშვნელოვანი [illegible]ელმწიფო ორგანოა, უკვე 60 [illegible]ია განუხრელად იღვწის, რა[illegible] კიდევ უფრო სრულყოს ფუ[illegible]ესკრედიტო სისტემა, გააუმ[illegible]ესოს ფულის ბრუნვის ორგა[illegible]ცია და დაგეგმვა.

[illegible]სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკ[illegible] საქართველოს რესპუბლიკუ[illegible] კანტორა ქვეყნის საბანკო სის[illegible]ის ერთ-ერთი დიდმნიშვნე[illegible]ანი ქვეგანყოფია. მისი და[illegible]ებულებანი, რომლებიც არსე[illegible] როლს ასრულებენ საქართ[illegible]ოს ეკონომიკის განვითარებასა [illegible] განმტკიცებაში, სულ უფრო [illegible]ურად გვეელინებიან არა მა[illegible] საკრედიტო-საანგარიშო ორ[illegible]ზაციების, არამედ იმ საკონ[illegible]ოლო ორგანოების როლშიც, [illegible]მლებიც ზემოქმედებას ახდენენ [illegible]ირთობის, საგადმო, საფინან[illegible]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლეს[illegible] საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებ[illegible]ებით სსრ კავშირის საბჭან[illegible] და სსრ კავშირის სახელმწი[illegible] შრომითი შემნახველი სალა[illegible]ების სისტემაში მუშაობის [illegible]ის მიღწეული წარმატებებისა[illegible]ის და სსრ კავშირის სახელმ[illegible]ფო ბანკის შემნის მე-60 [illegible]ისთავთან დაკავშირებით სის[illegible]ის მუშაკთა დიდი ჯგუფი და[illegible]ლდოვდა საქართველოს სსრ [illegible]აღლესი საბჭოს პრეზიდიუმის [illegible]ატიო სიგელით; მუშაკთა ცალ[illegible]ულ ჯგუფებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შემნის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების სისტემაში მუშაობის [illegible]ის ნაყოფიერი მუშაობისათვის [illegible] ქვეყნის სახელმწიფო ბანკის [illegible]ელებულებასთან დაკავშირებით ამხა[illegible]ების ჯგუფს გადაეცათ სიგელები „საქართველოს სსრ დამსა[illegible]ურებული ეკონომისტის“, „საქა[illegible]ველოს სსრ დამსახურებული [illegible]ოლტრის“ „საქართველოს სსრ [illegible]ამსახურებული ინჟინრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ჯილდოები გადაეცათ

— ამ ჯილდოებს მივიჩნევთ [illegible]ენი შრომის, რესპუბლიკის სა[illegible]ფო დაწესებულებების კოლექ[illegible]ების თავდადებული მუშაობის [illegible]ლ შეფასებად. ამავე დროს [illegible] ჯილდოები გვავალებს ვიშ[illegible]ოთ უკეთ, უფრო აქტიურად [illegible]ველოთ ფინანსური და ფუ[illegible]ფ-საკრედიტო ბერკეტები მე[illegible]ოთმეტე ხუთწლედის დავალე[illegible]ების შესრულებაში, — თქვა სსრ [illegible]შირის სახელმწიფო ბანკის სა[illegible]ოთველოს რესპუბლიკური კან[illegible]ის მმართველმა ვ. ა. პატეი[illegible]ლმა 27 ნოემბერს, მისთვის სა[illegible]ოთველოს სსრ უმაღლესი საბ[illegible] პრეზიდიუმის საპატიო სიგე[illegible] გადაცემის დროს. რესპუბ[illegible]ის საბანკო სისტემისა და [illegible]ომითი შემნახველი სალაროე[illegible] მუშაკთა დიდ ჯგუფთან ერ[illegible]ად ეს სიგელი მიენიჭა მუ[illegible]ობაში მიღწეული წარმატებები[illegible]ვის და სსრ კავშირის სახელ[illegible]ფო ბანკის 60 წლის თავთან [illegible]კავშირებით

[illegible] სსრ კავშირის სახელმწიფო ბა[illegible]ისა და სსრ კავშირის სახელმ[illegible]ფო შრომითი შემნახველი სა[illegible]ოველების სისტემაში მრავალი [illegible]ის ნაყოფიერი მუშაობისათვის [illegible] ქვეყნის სახელმწიფო ბანკის [illegible]ელებულებასთან დაკავშირებით ამხა[illegible]ების ჯგუფს გადაეცათ სიგელები „საქართველოს სსრ დამსა[illegible]ურებული ეკონომისტის“, „საქა[illegible]ველოს სსრ დამსახურებული [illegible]ოლტრის“ „საქართველოს სსრ [illegible]ამსახურებული ინჟინრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ახალგაზრდული შემართებით

სიტყვა უფროს მეგობარზე, 70 წლის გიორგი ნატროშვილზე

ბევრი ახალგაზრდობის წლებში [illegible]ილისში მხოლოდ ორი ლიტე[illegible]ატურული ორგანო არსებობდა [illegible]ბათობი“ და „ლიტერატურული [illegible]ეთი“.

[illegible]შემოქმედებითი ახალგაზრდობა [illegible]ანაც ბევრი იყო და ყველა [illegible]ვას იყო დანატრებული. იმ [illegible]ოს ლექსის გამოქვეყნება სე[illegible]ია ხდებოდა. გიორგი ნატრო[illegible]ილი „ლიტერატურულ გაზეთს“ [illegible]ედაქტორობდა. დამწყებ პო[illegible]ებს შორის სულ რამდენიმე [illegible]ოგზარდა ვიყავით, რომლებსაც [illegible]ტონ გიორგი გვანებივრებდა, [illegible]ი. უხვად გვბეჭდავდა. სხვები, [illegible] თქმა უნდა, შურით და [illegible]ალვით შემოგვცქეროდნენ. [illegible]ტონ გიორგის მიერ დაბეჭ[illegible]ლ ლექსებს სხვა ღირსება, [illegible]ვა ფასი ჰქონდა მკითხველის [illegible]ალში. ამიტომ სხვაგან გამოქ[illegible]ეყნებულ რამდენიმე ლექსს მა[illegible] დაბეჭდილი ერთი ლექსი [illegible]ერჩია. ახალგაზრდობას ხიბ[illegible]ვდა გ. ნატროშვილის დიდი [illegible]ბერვება, რუსული და ევრო[illegible]ული ლიტერატურის საფუძვლი[illegible] ცოდნა, შეუმცდარი მხატვ[illegible]ული ალღო, გემოვნება, ჯანსა[illegible], ჭეშმარიტად ქართული გე[illegible]ება.

[illegible]ომგადახდილი კაცის ბიოგრა[illegible]ისა და პიროვნებაში მაშინდე[illegible] ახალგაზრდები რაღაც რო[illegible]ტიკულსა და ამაღლებულს [illegible]ეგავდნ. გიორგი ნატროშვილ[illegible] თავისი უტაყური მხატვრული [illegible]ოს წყალობით მრავალი ტა[illegible]ნტი აღმოაჩინა და გზაც გაუ[illegible]ფა ლიტერატურაში. ყურადღე[illegible] და ზრუნვა არ მოაკლო, რო[illegible]ც რედაქტორმა, უფროსმა [illegible]ბარმა.

[illegible]ბისი გულისხმიერებით, ამაგით, [illegible]აცობით განსაკუთრებით და[illegible]ებულია ჩემი თაობა. ბატონი [illegible]ორგისადმი პატივისცემა მალე [illegible]ი შემოქმედებისადმი სიყვა[illegible]ში გადაიზარდა. იგი მკითხ[illegible]ების წინაშე წარსდგა რო[illegible]ც ქართული ენის უბადლო [illegible]ცოდნე. გამორჩეული ბუნებრი[illegible] თხრობით, ქართული ყოფის, [illegible]ართული ხასიათების ღრმა ფსი[illegible]ოლოგიური ცოდნით, თანამედ[illegible]როვე პროზის შედევრია მისი „უდარდელი კაცის სიკვდილი“. გ. ნატროშვილმა შექმნა ბრწყინვალე მონოგრაფია დავით გურამიშვილზე, მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნების კლასიკური ნიმუშია მისი წერილი „ჟამი სიცოცხლისა და ჟამი სიკვდილისა“. დიდებულია „შემოღამება მთაწმინდაზე“, და რამდენი ერთი წერილი და მოთხრობა უნდა გავიხსენოთ გ. ნატროშვილის მდიდარი და ნიჭის შესაშური თვისებების გადმოსაცემად!

[illegible]თავისი ორმოცდაათწლიანი მოღვაწეობის მანძილზე არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ ლიტერატურასა და კულტურულ ცხოვრებაში, რომელზედაც გ. ნატროშვილს თავისი დარბაისლური სიტყვა არ ეთქვას, როგორც ერის გულშემატკივარ კაცს.

[illegible]ღევანდელი პუბლიცისტური [illegible]ანრის აყვავება და საერთოდ, ქართული საზოგადოებრივი აზ[illegible]რის მაღალი დონე მის ბასრ და [illegible]მადლიან კალამსაც უნდა უმად[illegible]ლოდეს. გ. ნატროშვილს აქვს საკ[illegible]ირბორბოტო პრობლემების მი[illegible]ვლევისა და მათი სწორი გადა[illegible]ჭრის გასაოცარი უნარი.

[illegible]ბატონ გიორგი ახლა 70 წლი[illegible]საა და, როგორც იტყვიან, ახალ[illegible]გზრდელად გამოიყურება თავის [illegible]ასაკთან შედარებით.

[illegible]სწორედ დიდი სიყვარულის გა[illegible]მოხატულება იყო შეხვედრა, [illegible]რომელიც ამ დღეებში მოუწყვეს [illegible]მწერალს წითელწყაროს რაიონის [illegible]ბრომელებმა. ბევრი კეთილი სი[illegible]ტყვა ითქვა ღვაწლმოსილ მოღ[illegible]ვაწეზე. თანამემამულეებმა თანა[illegible]სოფლელებმა სითბო და სიყვა[illegible]რული არ დააკლეს გიორგი ნატ[illegible]როშვილს. მისმა თანამოკალმეებ[illegible]მაც მიულოცეს დაბადების 70 [illegible]წელი. და მეც დღეს დიდი სი[illegible]ყვარულით მივესალმები ამაგდარ [illegible]კაცს, მივესალმები როგორც შე[illegible]გირდი მოძღვარს და მოკრძალებულ მადლობას მოვახსენებ ყველაფრისათვის.

ზოთა ნიშნიანიძე.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

საკდესისა და ახალი ამბების საკმენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო დღიური ჟურნალისტიკა

28 ნოემბერი

სოციალისტურ ქვეყნებში

● იუგოსლავია

ქარხნის პირველი პროდუქცია

ბელგრადი. **პირველი პროდუქცია გამოუშვა ქალაქ სრებრენიცის აკუმულატორების ქარხანამ, რომელიც აშენდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური ხელშეწყობით. მისი პროდუქციის ნაწილი გაიგზავნება სსრ კავშირში საწარმოს მშენებლობის ანაზღაურების ანგარიშში.**

წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობა ფერად მეტალურგიაში.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე სსრ კავშირის მონაწილეობით იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ამ დარგში აშენდა 21 ობიექტი.

● გდრ

ლაზერები — მედიკოსებს

ბერლინი. **გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ რიგ დიდ საწარმოებში მოქმედი ლაზერები ახლა მედიკოსებს ემსახურება.** ოპტიკურ-მექანიკურ და საფეიქრო მრეწველობაში იყენებენ მათ სხივებს, ახლა კი ამ სხივებმა სკალპელი შეუცვალეს ბერლინის კლინიკის „შარიტეს“ დედაქალაქის უდიდესი სამკურნალო და სამეცნიერო ცენტრის ქირურგებს.

ლაზერის დახმარებით ოპერაცია გაუკეთეს პაციენტს, რომელსაც ჰქონდა ჰემოფილია — რთული მემკვიდრეობითი დაავადება, ლაზერის სხივს შეუძლია ქსოვილი გაკვეთოს მეასედი მიკრონის სიზუსტით და ამავე დროს ახდენს სისხლძარღვების ერთგვარ „შეღუღებას“, რის შედეგადაც მთლიანად გამოირიცხება ძლიერი სისხლისდენა და ორგანიზმში მავნე მიკრობებისა და ინფექციის შეჭრა.

მოწყობილმა გამოცდამ ცხადყო სიახლის უპირატესობანი, რომლებიც მისი გამოყენების საშუალებას იძლევიან ყველაზე რთული და პასუხსაგები ოპერაციების — მაგალითად, ტვინის ოპერაციების, აგრეთვე ორგანოთა გადანერგვის დროს.

● უნგრეთი

1,2 მილიონი ახალი ბინა

ბუდაპეშტი. **წარმატებით გადაწყვეტოთ სახბინაო საკითხი მუშებისათვის მრავალშვილიანი ოჯახების, ახალდაქორწინებულებისათვის — ასეთია უნგრეთში სახბინაო მშენებლობის გაფართოების შესახებ დირექტივების ცენტრალური დებულება, რომლებიც უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულმა პლენუმმა წარუდგინა განსახილველად რესპუბლიკის საზოგადოებრივ საბრალ ორგანიზაციებსა და სახელმწიფო ორგანოებს.**

უნგრეთში ბინებით მოსახლეობის უზრუნველყოფა წარმოებს გეგმაზომიერად, გრძელვადიან საფუძველზე უნგრელთა მილიონზე მეტმა ოჯახმა ახალმოსახლეობა იდღესასწაულა იმის შედეგად, რომ წარმატებით განხორციელდა სახბინაო მშენებლობის 15 წლის პერსპექტიული პროგრამა, რომელიც 1975 წელს დამთავრდა. მისი ლოგიკური განგრძობა იყო მეორე პროგრამა. მის შესაბამისად უკვე 450 ათასზე მეტმა ოჯახმა მიიღო ბინების გასაღები გასულ ხუთწლედში.

მეორე პერსპექტიული პროგრამის რეალიზაციის ფარგლებში უნგრელთა 1,2 მილიონი ოჯახი მიიღებს ახალ ბინებს.

სახალხო საქმისათვის გამოჩენილი მებრძოლი

ქაბული. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მოკლე ბიოგრაფია.

გამოცემისათვის წინასიტყვაობა დაწერა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბაბრაკ ქარმალმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოკლე ბიოგრაფიის გამოცემა დარი ენაზე, აღნიშნულია წინასიტყვაობაში, — დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის წევრებისათვის, რევოლუციური ავღანეთის მთელი მშრომელი ხალხისათვის, რომელიც დაადგა ახალი საზოგადოების მშენებლობის გზას. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, მებრძოლი კომენისტის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრების გზა, წერს ბ. ქარმალი, მაგალითია ყველასათვის, ვინც გადაწყვიტა ხალხის სამსახურის მშვენიერ და ამაღლებულ საქმეს მოახმაროს თავისი ცხოვრება.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ

ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოიცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოკლე ბიოგრაფია

განვლილი დიდი გზა — მუშიდან მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს მეთაურამდე — შესაძლებელი გახდა როგორც მისი შესანიშნავი პიროვნული თვისებების, ასევე თვით სოციალისტიური საზოგადოების ბუნების მეოხებითაც, რომელიც უაღრესად დაინტერესებულია სახელმწიფო მოღვაწეებად დააწინაუროს ხალხის ყველაზე უნარიანი, ნიჭიერი, ლენინის საქმის ერთგული წარმომადგენლები. ლეონიდ ილიას ძეს ღრმა და მტკიცე ფესვები აკავშირებს საბჭოთა ხალხთან.

საბჭოთა კავშირის თავალსაჩინო მიღწევებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმდიდრეს გამოცდილებას მსოფლიოისტორიული მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოციალიზმის მსოფლიო სისტემისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის. ისინი შთაგონებს ყველა ახალგაზრდა სახელმწიფოს და მათი დასაყრდენია ეროვნული განთავისუფლებისა და დემოკრატიული გარდაქმნებისათვის ბრძოლაში. ჩვენთვის ავღანეთში, განვითარებადი ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის პირობებში, აღნიშნავს ბ. ქარმალი, საბჭოთა კომუნისტების გამოცდილება იმ ცოდნის საგანძურია, რომელიც ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის თითოეულმა წევრმა არა მარტო უნდა შეისწავლოს, არამედ უნარიანადაც გამოიყენოს ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ თავისებურ ვითარებაში ჩვენი ხალხის ტრადიციების გათვალისწინებით.

წინასიტყვაობაში ხაზგასმულია ლ. ი. ბრეჟნევის თვალსაჩინო წვლილი განვითარებად სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის საქმეში, სხვადასხვა ქვეყანაში რევოლუციური პროცესის ზოგადი კანონზომიერებისა და ეროვნული თავისებურებების შესახებ ლენინის მოძღვრების განვითარებაში. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, წერს ქარმალი, თუ რა ყურადღებით ეკიდება ლ. ი. ბრეჟნევი საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობას. ჩვენი ხალხი არაოდეს დავიწყებს იმ დახმარებასა და მხარდაჭერას, რომელიც საბჭოთა ხალხმა გაგვიწია იმ მოძენტში, როცა ჩვენ წყდებოდა საკითხი ეცოცხლა თუ დაღუპულიყო აპრილის რევოლუცია, ეარსება თუ არა ჩვენს ქვეყანას, ყოფილიყო თუ არა ჩვენი სამშობლო თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ჩინეთის პროპაგანდის ანტისაბჭოთა მონაჭორები

პეკინი. **ჩინეთის პროპაგანდა განაგრძობს არა მარტო თავისი ხალხის, არამედ აზიის სხვა ქვეყნების ხალხების დაშინებას უალბი „საბჭოთა საფრთხით“.** უკანასკნელ ხანს მასობრივი ინფორმაციის ორგანოები სულ უფრო ხშირად ბეჭდავენ მასალებს, რომლებშიც განხრახ აყალბებენ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, მის დაუცხრომელ მეცადინეობას ომის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით. გაზეთები აქრეღებულია ფალსიფიცირებული რუკა-სქემებით, რომლებზეც გამოსახულია „საბჭოთა საბრძოლო ბაზები“, საბჭოთა სტრატეგიული ძალების „დისლოკაციის რაიონები“, სადაც ისრებით არის აღნიშნული საბჭოთა კავშირის „სამხედრო იქსპანსია“.

ანტისაბჭოთა მონაჭორებსა და ცილისწამებას შეიცავს სხვადასხვა რანგის ოფიციალურ მოღვაწეთა გამოსვლებიც. ისინი კვლავ და კვლავ უხვად შეიცავენ იმავე მაოისტურ ლოზუნგებს „მზად იყავით ომისათვის“, „მთელი წალხი ჯარისკაცია“. ამას წინათ „ქენმინ ჟიბაომ“, მაგალითად, დაბეჭდა სინძიან-უიგურის ავტონომიური რაიონის პარტკომის პირველი მდივნის ვან ენმაოს გამონათქვამები, რომელიც ქადაგებდა, რომ სინძიანი უნდა გადაიქცეს „მძლავრ ციხე-სიმაგრედ“ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის „ფორპოსტად“.

მეორე გაზეთი „ხეილუნძიანგ ჟიბაო“, რომელიც გამოდის სსრ კავშირის მოსაზღვრე პროვინციაში, წერდა „ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხის“ შესახებ, ცილისმწამებლურად ამტკიცებდა, რომ „ძლიერდება“ სამხედრო ღონისძიებანი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე.

სავსებით ცხადია, რომ ანტისაბჭოთა პროპაგანდის გაძლიერება ჩინეთში ხდება იმ მიზნით, რომ მიჩქმალონ მაოისტარისტული მზადება და აზიისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოთა მიმართ მისი ექსპანსიის გეგმები. გაზეთები, რადიო და ტელევიზია განუწყვეტლივ ამტკიცებენ, რომ საჭიროა არმიის მოდერნიზაცია, ხოტბას ასხამენ ჩინეთის შეიარაღებული ძალების მოქმედების კონცეფციებს, ბევრს წერენ და მაგალითად მოჰყავთ ისინი, ვინც მონაწილეობდა სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ სამარცხვინო აგრესიაში. პრესის ცნობების თანახმად, აღდგენილია საჩვენებელი სამხედრო პარადები, დიდი მასშტაბის სამხედრო წვრთნის მოწყობის პრაქტიკა, რომლებსაც, როგორც წესი, ესწრებიან მაღალი თანამდებობის ჩინელი ხელმძღვანელები. კვლავ უცსადებენ ტერიტორიულ პრეტენზიებს მეზობელ სახელმწიფოებს.

პეკინის პროპაგანდამ, რომელიც უხვად თხზავს მონაჭორებს შორეული აღმოსავლეთისა და მთელი აზიის ქვეყნებისადმი არარსებული „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ შესახებ, პრაქტიკულად დუმილით უვლის გვერდს საბჭოთა კავშირის წინადადებას მოეწყოს კონკრეტული მოლაპარაკება ახლო აღმოსავლეთში ნდობის ღონისძიებათა შესახებ ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან, მათ შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა არსებითად დუმილით აუარეს გვერდი ამ დიდმნიშვნელოვან სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც გაისმა სკკპ XXVI ყრილობის ტრიბუნიდან და რომელსაც დადებითად გამოეხმაურნენ და გაგებით მოეკიდნენ აზიაში.

ჩინეთის პროპაგანდა ეწევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აღვირახსნილ კამპანიას, რომელიც აშკარად იმისათვის არის გამიზნული, რომ წინააღუდგეს საბჭოთა სამშვიდობო წინადადებების გავლენას როგორც თვით ჩინეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მომავალი სხდომის შესახებ

1981 წლის დეკემბრის პირველ ნახევარში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქ მოსკოვში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების თავდაცვის მინისტრების კომიტეტის მორიგი სხდომა.

ფოტოინფორმაცია

მარად უჭკნობი ყვავილები

ჩრდილოეთ **რაინ-ვესტფალიის მხარის პატარა ქალაქი შტუკენბროკი ნახსენებიც კი არ არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტურისტულ გზამკვლევში. მიუხედავად ამისა დასავლეთგერმანელ დემოკრატთა და ანტიფაშისტთა მოძრაობაში მას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის. ამ ათი წლის წინათ შეიქმნა მუშათა გაერთიანება „უვავილები შტუკენბროკისათვის“. მისმა აქტივისტებმა თავს იდვეს კეთილშობილური მისია მოეკლოთ ტუსაღთა საფლავებისათვის და ყოფილი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილი მემორიალისათვის, სადაც ესესელმა ჯალათებმა 65 ათასი საბჭოთა მოქალაქე, ათასობით პოლონელი, იუგოსლავი, ფრანგი და იტალიელი ანტიფაშისტი დახოცეს. ყოველწლიურად ამ ორგანიზაციის ინიციატივით ამ ქალაქში ეწყობა მშვიდობის მომხრეთა სხვადასხვა ქვეყნის ანტიფაშისტთა შეხვედრა.**

სურათებზე: **შტუკენბროკის ერთ-ერთი ძეგლი; „სიცოცხლე და არა ატომური რაკეტები!“ — ასეთი ლოზუნგით ჩამოვიდნენ ტრადიციულ მიტინგზე დასავლეთგერმანელი დემოკრატები.**

საკდესის ფოტო.

წერილი ბონიდან

მათ მუშაობა სურთ

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბონში სამრეწველო საწარმოები თითქმის არ არის. ამიტომ გარკვეულ დრომდე უმუშევრობა ბონისათვის ფაქტობრივად განყენებული ცნება იყო. თუმცა ბოლო დროს მდგომარეობა ქალაქში გაუარესდა.

დედაქალაქის შესასვლელთან სწრაფად მიმავალი მანქანიდან საკმაოდ ძნელი შესამჩნევია „ფერაინიგტე ალუმინიუმ ვერკეს“ („ფავ“) ქარხნის კორპუსები. ეს საწარმო, რომელიც ალუმინის ნაწარს უშვებს, უდიდესია ბონის მცირერიცხოვან საწარმოთა შორის. ერთ დროს აქ ორი ათასზე მეტი კაცი მუშაობდა. მაგრამ დათხოვნების შედეგად ამა წლის პირველი ნახევრის ბოლოს ქარხანაში 1200 კაცი დარჩა. ამას წინათ ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ აპირებს ერთბაშად 350 მუშის დათხოვნას. გადაწყვეტილებამ პროტესტები გამოიწვია. ამ საკითხით იმულებული გახდა დაინტერესებულიყო ბონის საქალაქო საბჭო. მიუხედავად ამისა, ქალაქის მეთაურებმა უარყვეს რეზოლუცია, რომელიც სოლიდარობას უცხადებდა „ფავის“ ქარხნის მუშებს. საბჭოში უმრავლესობას რეაქციული ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლები შეადგენენ და მათ თავისი გაიტანეს.

მუშები შეშფოთებული არიან: ადმინისტრაცია არ აპირებს თავის განზრახვაზე ხელის აღებას, ბონში სხვა სამუშაოს შოვნა კი ძნელია. „ფავის“ ქარხანა გამონაკლისი არ არის. ოქტომბრის ბოლოს ფედერაციული გერმანიის მთელმა რიგმა წამყვანმა ეკონომიკურმა ინსტიტუტებმა გამოაქვეყნეს პროგნოზი, რომლის შესაბამისად ქვეყანაში მოსალოდნელია უმუშევრობის შემდგომი ზრდა. ციფრსაც ასახელებენ — 1,6 მილიონი კაცი. უმუშევრობა, უწინარეს ყოვლისა, შეეხო მეტალურგიულ მრეწველობას. ამას წინათ რურის მეტალურგიის ერთ-ერთ ცენტრში, ქალაქ დუისბურგში გაიმართა კონფერენცია მეტალურგიულ საწარმოებში უმუშევრობის პრობლემებზე. აქ გამოვიდა უდიდესი ქარხნების ოცზე მეტი წარმომადგენელი. მათ შეშფოთება გამოთქვეს შექმნილი ვითარების გამო. მეტალურგიულ კონცერნ „ხიშის“ უდიდესი კომბინატის საქარხნო საბჭოს წევრმა ული შნაბელმა, რომელმაც გააკრიტიკა მთავრობა უმუშევრობის წინააღმდეგ უმოქმედობის გამო, თქვა: „თუ ასეგნებები გამოიყოფა როგორც მეტალურგიისათვის, ისე რაკეტებისათვის, მაშინ, ცხადია, ფული საკმარისი არ იქნება“.

დუისბურგის კონფერენციის მონაწილეებმა მოითხოვეს წარმოების სამოქალაქო დარგების განვითარება, უმუშევრობის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის განვითარება სოციალისტურ ქვეყნებთან. ეს ერთადერთი გონივრული მიდგომაა. აგიღოო, მაგალითად, „მანესმანის“ ფირმის ქარხანა ქალაქ ჰუკინგენში. აქ, როგორც ჟურნალისტებთან საუბარში საქარხნო საბჭოს წევრმა, მეამწე გიუნტერ პოოპმა განაცხადა, „მუშებმა იციან, რომ ბოლო წლებში მათ სამუშაო მხოლოდ საბჭოთა შეკვეთების წყალობით არ დაკარგესო“, ინჟინერმა ჰერბერტ ბრიუგერმა დასძინა: „ბევრს მიაჩნია, ჩვენს მილსაგლინავ საამქროს საბჭოთა შეკვეთები რომ არ ჰქონოდა, მას დიდი ხნის წინათ დახურავდნენო“.

სოციალიზმის ქვეყნებთან და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტთან დაკავშირებით. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გერმანელთა პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის გ.-ო. ფეტერის აზრით, საბჭოთა შეკვეთები ამჟამად საბუშაოთი უზრუნველყოფს 500 ათას დასავლეთგერმანელ მშრომელს. ამას წინათ მოსკოვიდან დაბრუნებულმა ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარის პრემიერ-მინისტრმა იოჰანეს რაუმ აღნიშნა საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ვაჭრობის გაფართოების მნიშვნელოვანი შესაძლებლობანი. მარტო ერთი ახალი შეკვეთა, რომელიც ითვალისწინებს უდიდესი ფარიგების — „გზამილების“ ფარგლებში სსრ კავშირისათვის მილების მიწოდებას, უზრუნველყოფს რურის 20 ათასი მუშის დასაქმებას.

ვის შეუძლია უარყოს ამ თანამშრომლობის ორმხრივი სარგებლიანობა? თურმე, ნუ იტყვით, არიან ასეთებიც. არა მარტო ამერიკელი პოლიტიკოსები, არამედ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსერვატიული ბანაკის პოლიტიკური მოღვაწენიც კი მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შეკვეცას. ამგვარი მოწოდებანი დაბადებულნი შენელების საწინააღმდეგო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია და დასავლეთ ევროპის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული.

თუმცა დასავლეთევროპელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა უარყოფს მას. მაგალითად, ევროპის გამოცდილმა სახელმწიფო მოღვაწემ ავსტრიის კანცლერმა ბრუნო კრაისკიმ აღნიშნა, რომ დაძაბულობის შენელების პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება.

— ეს არ იყო ქვეულმოქმედება, — თქვა კანცლერმა, — ჩვენ ეს გვჭირდებოდა. ახლა ხშირად გვესმის მოწოდება, აღმოსავლეთთან ვაჭრობა შევკვეცოთო. მაგრამ ასეთ პოლიტიკას ჩვენ ვერ გავიზიარებთ ეკონომიკური სიძნელეების პერიოდში. ჩვენ გვჭირდება საბჭოთა ბუნებრივი გაზი და ვიღებთ კიდეც მას.

ავსტრიის კანცლერის მსჯელობა შეიძლება თამამად მივაკუთვნოთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასაც.

შემთხვევითი არ არის, რომ აქაურ საქმიან წრეებში იმედოვნებენ და მიაჩნიათ რომ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის შედეგები ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას ახალ იმპულსს მისცემს. ამას მოელიან დასავლეთ გერმანიის მშრომელებიც. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტიც, რომ „მანესმანის“ კონცერნის საწარმოს მუშებს ამასწინანდელ დემონსტრაციაზე მოჰქონდათ პლაკატი, რომელზეც წარწერილი იყო: „ჩვენ რაკეტები კი არა, მილები გვჭირდება! ჩვენ მშვიდობისათვის მუშაობა გვსურს!“

ახალი ამბების საკავშირო.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლე ინფორმაციები

უუმაღლესი საბჭოს ინფორმაციები

უუმაღლესი სესია

ლონდონი. **აქ უუმაღლესად დამთავრდა ევროპის გაერთიანებათა საბჭოს მორიგი სესია სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების დონეზე.** „ცხრეულის“ ხელმძღვანელები ვერ შეთანხმდნენ მოლაპარაკების ორ ძირითად საკითხში — ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბიუჯეტის რეფორმისა და ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შესახებ. შეხვედრის დროს დიდმა ბრიტანეთმა და გერმანიის ფედერაციულ

კომუნისტი
საკვირველი საკითხავი

„თავგანწირული მოღვაწე...“

ივანე მაჩაბელი, ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელთან ერთად, უორდროპთა სათაყვანო კერპი იყო. ჯერ კიდევ 1887 წელს საქართველოში პირველი მოგზაურობისას ოლივერ უორდროპს ერთ-ერთ მეგზურად ივანე მაჩაბელი ახლდა, რომელმაც გულით შეაყვარა ინგლისელ სტუმარს ჩვენი ქვეყანა. თავის მხრივ, ოლივერ უორდროპმა „საქართველოს სამეფოში“, რომელიც 1888 წელს გამოსცა ლონდონში, საქართველოს საუკეთესო შვილთა რიცხვში ივანე მაჩაბელიც შეიტანა, აქვე დაბეჭდა პორტრეტი და ცნობები მის შესახებ.

უორდროპთა ფონდთან შესაძარებლად ოქსფორდში ჩავიტანეთ საქართველოში დაცული მარჯორი და ოლივერ უორდროპების წერილები ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, რომლებიც გადმოწერეს და შესანიშნავად თარგმნეს ახალგაზრდა სპეციალისტებმა მარინე ჩერქეზიშვილმა (ფრანგულიდან) და ფიქრია ლებანიძემ (ინგლისურიდან). ოლივერ უორდროპის ერთი ინგლისური წერილი გამოყენებული აქვს ჩვენს გამოჩენილ მწერალსა და მთარგმნელს ვახტანგ ჭელიძეს ცნობილ ბიოგრაფიულ რომანში „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“.

საქართველოდან ჩატანილ მა უორდროპთა გამოუქვეყნებელმა წერილებმა ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უორდროპთა ფონდის კომიტეტზე (პრეზიდენტი — პროფესორი ჩარლზ დაუსეთი, წევრები — დევიდ ლანგი, დევიდ ბარეტი, ოლივერის ვაჟი — ანდრო უორდროპი და სხვ.), რომ მათ მიიღეს საგანგებო გადაწყვეტილება — მარჯორი უორდროპის სახელობის ფულადი ფონდიდან, რომელიც ანდერძით მხოლოდ საქართველოს და ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის მოსახმარად არის დატოვებული, გარკვეული სახსრები გაღებულ იქნეს ოქსფორდში დაცულ ჩვენთვის სანტერესო მასალების ფოტოპირთა გადასაღებად და საქართველოში გამოსაგზავნად, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად უორდროპთა მიმოწერის ერთობლივად გამოსაცემად.

ოქსფორდში ორივე წყაროზე მუშაობამ კი ნათელი მოჰფინა უორდროპების ივანე მაჩაბელთან ურთიერთობის აქამდე გაურკვეველ საკითხებს.

თურმე „საქართველოს სამეფოზე“ მუშაობისას ბევრი მასალა ივანე მაჩაბელს მიუწოდებია ოლივერ უორდროპისათვის. 1887 წელს ივანე მაჩაბელი ფრანგულად სწერდა ინგლისელ მეგობარს: „...ამ წერილთან ერთად გიგზავნით მეფე ერეკლე II-ის, ილია ჭავჭავაძის და ჩვენი საუკუნის რამდენიმე ქართველი პოეტის სურათებს. ესენია: გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი, რომელიც ამჟამად უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, ქართული თეატრის დამაარსებელი, აწ გარდაცვლილი მორგი ერისთავი და კიდევ ოცი-ოდე სხვა. ეს ფოტოები შეგიძლიათ გადაიღოთ და გამოაქვეყნოთ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლით. გიგზავნით აგრეთვე ჩემს სურათს, როგორც შორეული მეგობრის უბრალო მოსაგონარს. ჩემი წვლილი ჩვენი ქვეყნის ლიტერატურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში არც ისეთი მნიშვნელოვანია, რომ მე გავბედო და ადგილი დავიკავო თქვენს წიგნში, რომელსაც მოუთმენლად ველით...

თავს ნებას ვაძლევ, შემოგთავაზოთ შექსპირის პიესების „ჰამლეტისა“ და „ოტელოს“ უკანასკნელი თარგმანები ინგლისურიდან. ხომ ხედავთ, ინგლისიდან ასე დაშორებულ კავკასიაშიც პატივს სცემენ თქვენს დიად პოეტს“.

1891 წლის თებერვალში ოქსფორდიდან ფრანგულად გამოგზავნილ წერილში ოლივერ უორდროპი სწერს ივანე მაჩაბელს: „...როგორც კი სულ გავთავისუფლდები, გამოვფრინდები საქართველოსაკენ, ამ მომხიბვლელი ქვეყნისაკენ, რომლის მომჯადოებელი ძალა სულ უფრო და უფრო მიზიდავს... კიდევ ერთხელ გმადლობთ. გთხოვთ გადასცეთ თავად ილია ჭავჭავაძეს ჩემი უღრმესი პატივისცემა“.

მარჯორი უორდროპის პირველი ქართველოლოგიური ნაბიჯების შესახებ მეტად საყურადღებო ცნობების შემცველია ინგლისიდან 1894 წლის 3 იანვარს გამოგზავნილი ოლივერ უორდროპის ფრანგული წერილი ივანე მაჩაბელისადმი:

„...მე მუდამ სიყვარულით ვიგონებ თქვენს მშვენიერ ქვეყანას, სადაც ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი უბედნიერესი ხანა გავატარე.... ჩემი და გულდასმით შეუდგა ქართული ენის შესწავლას. მან თარგმნა რუსთაველის პოემის თითქმის მესამედი დ დასრულა ლ. აღნიშვნილის ხალხური ზღაპრების თარგმანი, რომლის გამოქვეყნებას სულ ცოტა ხანში ფიქრობს... გთხოვთ ნება დაგვრთოთ გამოგგზავნოთ ჩემი დის მიერ შესრულებულ თარგმანთა ცდები, რათა თქვენ დაგვეხმაროთ თავიდან ავიცილოთ უხეში შეცდომები... ვფიქრობ, თქვენც ჩემსავით ხართ მონდომებული, რომ დასავლეთში ქართულ ლიტერატურას გაეცნონ... აღფრთოვანება, რომლითაც ჩემი და თქვენი ენის მიმართ განიმსჭვალა, ნამდვილად არაჩვეულებრივია. ყოველდღიურად თქვენს კლასიკოს ავტორებს კითხულობს...“

სპასუხო ბარათში იმავე წლის 29 იანვარს ივანე მაჩაბელი ოლივერ უორდროპს ატყობინებს:

„...მოხიბლული ვართ თქვენი ეს სტროფები პოემის შესავალშია. საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისასა“ თარგმნა დავასრულე. ჩემმა დამ ის ორიგინალს შეადარა. ახლა გამომცემლის ძებნაში ვარ...“

1894 წლის დეკემბერში ოლივერ და მარჯორი უორდროპები ეწვივნენ საქართველოს. ქართველ მეგობრებთან ახალი შეხვედრებითა და შთაბეჭდილებებით აღსავსე ოლივერი 1895 წლის 19 იანვრის წერილში ქერჩის ბრიტანეთის საკონსულოდან ატყობინებს ი. მაჩაბელს:

„...ზედმეტია იმის თქმა, რომ სულ ერთთავად თქვენზე ვლაპარაკობთ. ყოველდღე ვნატრობთ კვლავ ვინახულოთ თქვენი მშვენიერი ქვეყანა“.

შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანებით აღფრთოვანებული ოლივერ უორდროპი 1896 წლის 28 მაისის ინგლისურად დაწერილ წერილში გენიოსს უწოდებს ქართველ მთარგმნელს:

...„იულიუს კეისრის“ თქვენეული თარგმანი სწორედ რომ საამაყოა: ეს არის თქვენი გენიისა და ამავე დროს თქვენი ენის განსაცვიფრებელი სიმდიდრის საბუთი. მე წაკითხული მაქვს ამ პიესის ფრანგული, გერმანული, რუსული და ბულგარული თარგმანები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის დედანთან ისე სარწმუნო, როგორც თქვენი. თანამედროვეთ რომც არ დაგაფასონ სათანადოდ, თქვენ ისეთი რამ შექმენით, რითაც შთამმავლობა აღფრთოვანებული იქნება...“.

ოქსფორდში დაცულია ივანე მაჩაბლის 1898 წლის 24 აპრილის ფრანგულად დაწერილი წერილის დედანი ოლივერ უორდროპისადმი, რომელშიც იგი აგვიწერს თავისი შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობას და შემოქმედებითი შრომის უკანასკნელ დღეებს:

„ძვირფასო მეგობარო! ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ შევძელი მაშინვე მეპასუხა უკანასკნელად მიღებულ წერილზე. ან უკვე ერთი წელია, რაც ძალიან ავად ვარ. ორჯერ გამოკეთეს ოპერაცია. ჯერ ნაწლავების ანთება მქონდა, შემდეგ კი პლევრიტი დამემართა. ახლა თუმცა მთლად ვერ მოვჯობინდი, მაგრამ თავს უკეთ ვგრძნობ და ნაოპერაციევი იარები ფრეს აღარ მიშლის, თქვენი დის წარმატებები ქართულ ენაში იმედს გვაძლევს, რომ მალე ჩვენს განთქმულ „ვეფხისტყაოსანს“ ინგლისურად წავიკითხავთ. თარგმნას მეც განვაგრძობ, ჩვენს საზოგადოებას შექსპირს ვაცნობ. ავადმყოფობის წინ ვთარგმნე „ანტონიოს და კლეოპატრა“. პიესა ჯერ არ დაბეჭდილა, მაგრამ გამოქვეყნებისათვის სულ მზად მაქვს...“

ეს წერილი პასუხია ოლივერ უორდროპის 1898 წლის 27 თებერვლის ბარათისა:

„ძვირფასო მეგობარო! სულ რამდენიმე დღეა შევიტყვე, რომ სერიოზულად ყოფილხართ ავად. ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა. მთელი გულით გისურვებთ სწრაფ და სრულ გამოჯანმრთელებას.

...ჩემს დას წინსვლა ეტყობა, რუსთაველის თარგმანი კარგად მიდის“.

უორდროპთა ნაქონ წიგნად ფოხდში აღმოჩნდა ივანე მაჩაბლის მიერ ნაჩუქარი წიგნები, უმეტესად მისეული თარგმანები: „იულიუს კეისარი“ (1896 წ.), „მაკბეტ“ (1892 წ.), „რიჩარდ მესამე“ (1893 წ.), „ოტელო“ (1888 წ.), „ჰამლეტ“ (1887 წ.) და სხვები, ამათ გარდა, აღმოჩნდა „ვეფხისტყაოსანი“ 1888 წლის ქართველიშვილისეული მდიდრული გამოცემის ის ეგზემპლარი, რომელზეც 1889 წლის აგვისტოში ოლივერ უორდროპის ხელით გაკეთებული ინგლისური წარწერიდან ირკვევა, რომ აღნიშნული გამოცემა მისთვის ივანე მაჩაბელს გაუგზავნია საჩუქრად. ამასთან დაკავშირებით, დამატებით შეგანიშნავ, რომ გრ. ჩარკვიანისეულ 1887 წლის გამოცემასთან ერთად, ეს „ვეფხისტყაოსანი“ 1888 წლის გამოცემის სწორედ ის ცალია, საიდანაც თარგმნა შემდეგ მარჯორი უორდროპმა ინგლისურად რუსთაველის უკვდავი პოემა!

ივანე მაჩაბლის დაკარგვამ უზომო მწუხარება გამოიწვია უორდროპთა ოჯახში. ტასო მაჩაბლისადმი 1899 წლის 5 ნოემბერს ქერჩიდან ფრანგულ ენაზე გამოგზავნილ ერთ გამოუქვეყნებელ წერილში მარჯორი უორდროპი წერს: „...როგორც კი თქვენი წერილი მივიღე, მაშინვე მივწერე ჩემს ძმას ლონდონში და ვკითხე, შესაძლოა თუ არა თავადი. მაჩაბელი ყოფილიყო ინგლისში. მან ნახა ვაზიანი (ინგლისში მოღვაწე ცნობილი ქართველი ეკონომისტი — ვარლამ ჩერქეზიშვილის ფსევდონიმია — გ. შ.), ელაპარაკა მას და ამ უკანასკნელმა დაარწმუნა, რომ ეს სრულიად შეუძლებელი ამბავია. ჩვენი ოჯახიდან ვინმეს რომ სცოდნოდა თქვენი ქმრის ადგილსამყოფელი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამის შეტყობინება იქნებოდა უპირველესი ჩემი მოვალეობა და სიხარული, მაგრამ, ვაგლახ, რომ ჩვენ სხვებზე მეტი არა ვიცით რა. ჩვენი აზრით, უდავოა, რომ ის ცოცხალი აღარ არის! დიდად გმადლობთ შექსპირის ორი დრამის თარგმანისთვის. ისინი მუდამ გამოიწვევს ჩვენში ნაღველს, როგორც ჩვენი მეგობრის უკანასკნელი ნამუშევრები“...

რაც შეეხება ოლივერ უორდროპის 1913 წლის 9 ივლისის ასევე გამოუქვეყნებელ ფრანგულად დაწერილ წერილს ტასო მაჩაბლისადმი, იგი წარმოადგენს ივანე მაჩაბლის შემოქმედებითი პორტრეტის შესანიშნავ დახასიათებას: „...რამდენჯერ მიფიქრია ჩემს მეგობარზე, განსაკუთრებით იმ მძიმე წუთებში, რომელიც თქვენმა საშობლომ ამ უკანასკნელ წლებში გამოიარა. მისი ძლიერი ხასიათი, ბრწყინვალე გონება, ყველასათვის თავის შეყვარების უნარი, სამშობლოსადმი ერთგულება, მის თანამემამულეებს თავზე დამტყდარ ბევრ ჭირს შეემსუბუქებდა, მაგრამ მის ცდას ამაოდ არ ჩაუვლია: მისი სული დარჩა იმათ შორის, ვინც მას უყვარდა და მისი სახელი მუდამ სათაყვანო იქნება!“.

ივანე მაჩაბლის შემოქმედებითი მოღვაწეობის, მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეებისა და უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ უნიკალური ცნობების შემცველია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მეუღლის—ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლის უცნობი წერილები მარჯორი უორდროპისადმი, რომლებიც ოქსფორდშია დაცული. სულ გამოვლენილია 12 წერილი, ამათგან ათი ქართულ ენაზეა მიწერილი მარჯორისადმი 1895-1902 წლებში, ხოლო ორი დანარჩენი დათარიღებულია 1910-1914 წლებით და ფრანგულად არის მიწერილი ოლივერ უორდროპისადმი. აი ზოგიერთი მათგანი.

ნახატი
ლ. ტუცაქირიძისა.

1896 წლის 22 მარტს:

„...თქვენი ნათარგმნი „განდგილი“ მივიღეთ. დიდათ გმადლობთ პატივისცემისათვის. ჩემმა ქმარმა წაიკითხა და ძალიან მოსწონს.... ჩემი ქმრის ნათარგმნი „იულიუს კეისარი“ ჯერ სრულათ არ დაბეჭდილა და როცა დაიბეჭდება გამოგიგზავნით“.

1898 წლის 26 იანვარს:

„...მომიტევეთ, რომ აქამდინ პასუხი ვერ მოგწერეთ. მიზეზი იმაშია, რომ დრო არ მქონდა. ჩემი ქმარი ძალიან ავად არის, მხოლოდ ცოტა უკეთ არის. აპრილიდამ აქამდე სულ ლონგინში წევს, ორჯერ ოპერაცია გაუკეთეს, სიცხეს აძლევდა, მადა არაფრის არ ჰქონდა და ძალიან მძიმედ იყო, ღმერთმა გვიფარა და უკეთ არის, ლონგინდამ კი ჯერ არ ამდგარა“.

1899 წლის 21 ენკენისთვეს:

„ძვირფასო და საყვარელო ბატონო მარჯორი!

დიდათ და დიდათ მასიამოვნა თქვენმა წერილმა, ჩემო კარგო მეგობარო! საშინლათ მიამა, რომ არც თქვენ და არც ბატონმა თქვენმა ძმამ არ დაგვივიწყეთ, მეტადრე ჩემი უბედური ქმარი. ვერ ვპოვებ სიტყვებს მადლობის გადასახდელათ. თქვენი წერილი ისეთი კარგია, თქვენი გრძნობა ისე სავსებით არის გამოყვანილი წერილში, ისეთი ტკბილი და სასიამოვნოა, რომ ამ წერილს ვუნახავ ჩემ პაწაწინა შვილებს, რომ იცოდნენ, იყვნენ იმისთანა ორი და-ძმა უცხო ქვეყნისა, რომელნიც გულით სწუხდნენ მათოლა რომ დაკარგვას როგორც კარგი კაცისა, ისე კარგი და თავგანწირული მოღვაწისა. ჩემი ქმარი თქვენი ძალიან პატივისმცემელი იყო და ამ ჩემ უბედურებაში რომ არ მომიგონეთ და არ მომწერეთ წერილი, საშინლათ მიკვირდა. ეხლა მიხარიან, რომ გავიგე მიზეზი.

თქვენ გეგონათ, რომ მე ვიცოდი იმის წასვლა და ბინა. ეგ მართალი არ არის, ჩემო კარგო! მე მგონი თქვენ იცით კარგათ იმის ისტორია, ბატონ ოლივერმაც იცის. ჩვენმა საზოგადოებამ იქამდინ მიიყვანა, ვერ გაიგეს ჩემი ქმრის ფიქრები, მოღვაწეობა, ბევრი მტერი გამოუჩნდა და რვა წელიწადი სულ ბრძოლაში იყო. მერე ავათ გახდა, ძალიან ავათ იყო ორი წელიწადი, ისე რომ უკანასკნელ დღეში იყო. ოპერაცია გაუკეთეს, სამი ძვალი ამოსჭრეს, ძალიან ტანჯვა გამოიარა. მერე მორჩა, მხოლოთ ის აწუხებდა, რომ საზოგადოება უსამართლოთ მოექცა და უნდოდა და ფიქრობდა „სიმართლე გამოვაჩინოვო“. ამ ფიქრებში იყო, მერე მორჩა სრულებით. იმ ზაფხულს ვაპირებდით ამბასუთუმანში წასვლას. თითონ ჩემ უბედურ ვანმა მისწერა წერილი ექიმს ამბასუთუმანში. ფული გაუგზავნეთ, აგარაკი დავიჭირეთ. ეს იყო 1898 წელს 24 ივნისს. 25-ში ყარგათ იყო, მხიარულათ, საღამოზე ნარდი ითამაშა, მერე ვახშმის შემდეგ დაიძინა და 26-ში დილით რომ შეეფდი იმის ოთახში, აღარ დამიხედა. და არ ვიცით ეხლა თავი მოიკლა, თუ მოკლეს, ან სადმე წავიდა. ვარ ასე ტანჯვაში, არ ვიცი როგორ ვიოცო — როგორც ცოცხალზე ვიოცებ, როგორც მიცვალებულზე.

ჩვენი საზოგადოება სამთათ გაიყო: ზოგი ამბობს თავი მოიკლა, ვეღარ აიტანა ტანჯვაო. ზოგი ამბობს, მოკლეს, ფული უნდა წაეღოთო, ზოგი — გავდა ინგლისში, საზოგადო საქმე უნდა გააკეთოს და დაბრუნდებაო. თქვეს კიდევ, რომ ვაზიანი (ვარლამ ჩერქეზიშვილი) და ვანო მაჩაბელი ერთათ არიან ან უორდროპებსაც ეცოდინებათო, მაგრამ ეგ მხოლოთ აგრე ფიქრობს ადამიანი და სხვა არაფერი იცის. რამდენჯერმე მინდოდა თქვენთან წერილის მოწერა და არ ვიცოდი, თუ გახსოვდით კიდე.

თუ მიწერ-მოწერა გაქვთ ვაზიანთან, მისწერეთ ეს ამბავი, იქნება არც კი იცის, რომ ჩემი უბედური ქმარი დაიკარგა და პასუხი რომ მოგიგავთ, მომწერეთ.

ბოდიშს ვიხდი, რომ ასე გრძელი წერილით შეგაწუხეთ.

ეხლა მე სოფელში ვცხოვრობ, ჩემი სახლები ქირით მივეცი. პატარა ნიკუშა პასნიონში მივეცი, ჩემი ელა და მე სოფელში ვართ.

ამ დღეებში თბილისში ჩავალ და გამოგგზავნით უკანასკნელ თარგმანს ჩემი ქმრისას „ანტონიოს და კლეოპატრას“ და „კორიოლანს“. კორიოლანი და მისი ცხოვრება და ბედი, ხასიათი საშინლათ მიაგავს ჩემ უბედურ ქმარს.

ჩემი ქმრის სურათი არ ვიცი გაქვთ თუ არა?

ნუ დაიზარებთ, თუ დრო გექნებათ, მომწერეთ წერილი. საშინლათ სასიამოვნო და ტკბილი წერილებია და ამ უბედურებაში ისეა, როგორც ავადმყოფისათვის წამალი. ამ შემთხვევაში ავადმყოფი მე ვარ, თქვენ ექიმი და თქვენი წერილი წამალი და ნუ მომაკლებთ თქვენ წამალს. ნუ დამივიწყებთ უბედურ ტასო მაჩაბლასაც“.

1899 წლის 27 ნოემბერს:

„...თქვენმა წერილმა მასიამოვნა და კიდეც შემაწუხა. მასიამოვნა იმიტომ, რომ კიდევ გახსოვართ და აგრე ყურადღებით ხართ ჩემთან და ჩემი უბედურება აგრე გაწუხებთ.

შემაწუხა თქვენმა წერილმა იმიტომ, რომ მამ დამეკარგა იმედი, რომ როდისმე კიდევ ვნახო ჩემი საყვარელი მეგობარი ვანო. მე თქვენ წერილს ისე მოველოდი, რომ უთუოდ სიამედო რამე უნდა მოგიწერათ.

აქ დამარწმუნეს, რომ ჩემი უბედური ქმარი არის ვაზიანთან. ვითომ ვაზიანი იმ დროს, როცა უბედურება დაგვემართა, აქ იყო და ერთათ წავიდნენ. ისიც თქვეს, რომ ინგლისში წავიდა და ვითომ თქვენ იცით. ეხლა თქვენმა წერილმა დამარწმუნა, რომ არც თქვენ და არც ვაზიანმა არ იცით, სადაც იმყოფება ჩემი უბედური ქმარი, დარწმუნებული ვარ, რომ იცოდეთ, შემატყობინებთ. მაგარ მე ჩემი ბედის არა მწამს რა და მეც ვფიქრობ, რომ ვეღარ ვნახავ ჩემს ქმარს და ჩემი უბედური შვილები — თავის კარგ და საყვარელ მამას.

ჩემ შვილებს ჰგონიათ, შორს წავიდა და სულ ელიან ის წერილს. ჩემი ვაჟიშვილი რაილს მისწერს ხოლმე და კვირაერველია, მე ვხვე და ვუთხრა რომ მამა აღარ ა საშინლათ ტირიან და მეც ნები, რომ მალე მოვა.

რომ არც ვიცი, ვერც ცოცხვნახეთ და ვერც მკვდარი, დავუშავეთ ღმერთს ასე, საფლავიც დაგვეკარგა“...

ქართველ საზოგადოებას გვსურს ვაუწყოთ, რომ მაჩაბლის ოჯახში, მის ქალლთან — ელენესთან დაკავშირებულ დაკარგვამდე ცოტა ხნით ივანე მაჩაბლისთვის ოპერის დროს ამოჭრილი ნ ძვლები, რის შესახებაც თ ივანე და ტასო მაჩაბელიც ინ რდნენ უორდროპებს ზემო ვანილ წერილებში, ძვლები თაოდ გაბეჭედილია ქალალდში ბამბაში, რომელიც ძვეს ინდელ ყუთში. ერთ-ერთ ალდს ტასო მაჩაბლის ხელით სულად აწერია: „ვოინონ. მ ოვი. 1897 წლის 19 ივნისი ტფილისი“. აქ მოხსენიებ ვოინონ სამხედრო ქორ რომელმაც ამოჭრა ივანე ელს ნეკნის ძვალი, ხოლო ლოვი — გეგე მაღალაშვი ივანე მაჩაბლის მკურნალი, ელიც ესწრებოდა ოპერაციას

დღეს ივანე მაჩაბლის საყოველთაო სიყვარულით დ ტივისცემით არის გარემოს იბეჭდება და იდგმება ივანე ჩაბლისეული თარგმანები, მელთანაც დაკავშირებული რთული თეატრის უდიდესი გ რჯვებანი, მხატვრული თარ ნის დარგში მიღწეული გაბ თრებული წარმატებებისა დაწესებულია ივანე მაჩაბლ ხელობის სახელმწიფო პრ ჩვენი სახელოვანი მოქანდაკ რან ბერძენიშვილი მუშაობს ნე მაჩაბლის ბარელიეფის მნაზე, რომელიც გამიზნ ივანე მაჩაბლის სახელობის ი მიის ლაურეატთა სამკერდე ნისთვის; მწერლის მშობლ სოფელ თამარაშენში მალე ხსნება სახლ-მუზეუმი. ექვ ნდება მთარგმნელთა შემოქ ბითი სახლი; მომწიფდა ივანე ჩაბლის თხზულებათა სრული ადემიური კრებულის გამოც საკითხი. ხომ არ დადგა ოჯახში დღემდე დაცულ ივანე ჩაბლის სანაწილეს საუკუნ სასვენებელი მივუჩინოთ უ დეს ალაგას, დიდი ქართ მამულიშვილების გვერდით, თა ერთგვარათ მოვიმოქმედ ივერ უორდროპს სიტყვ რომ ვთქვათ, გენიალური ქ ველი მთარგმნელისა და დიდ ლი საზოგადო მოღვაწის დ გვით გამოწვეული სულ ქრილობა, რის შემდეგაც ნება აღგილი ივანე მაჩ ხსოვნისა და თაყვანისცემისა!

გურამ შარ

სურათზე: ივანე მაჩაბ სანაწილე.

ბედნიერების და სათნოების საუნჯე 3.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“. № 268, 269.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 269, 270, 271.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ოქროს მტევანი

ცხოვრება ქართული სოფლისა

ამგვარმა ხასიათმა ბევრი მეგობარი და მოკეთე შესძინა ოცდამეთერთმეტე თავმჯდომარეს და, რა თქმა უნდა, ერთი-ორი მტერ-მოძულეც გაუჩინა.

შალვა ყამბარაშვილმა თავიდანვე შავი დღე გაუთენა უსაქმურებს.

არავითარი დაშინება, მილიციაში გამოძახება და სიების შედგენა, — ამ ჯამილოკია ხალხს ჯერ თვითონ თავმჯდომარე მოელაპარაკა, მერე პარტიული კომიტეტის მდივანი და გამგეობის წევრებიც მიეშველნენ: სათითაოდ ყველას აგრძნობინეს, რომ ასე ჰაიჰაზრად ცხოვრება აღარ შეიძლებოდა. არ იფიქრო მკითხველო, რომ მათი საუბარი მარტო ცარიელი რჩევა-დარიგება და მოსაწყენი, ათასჯერ გაგონილი სახარების კითხვა იყო.

გამგეობის წევრებმა საფუძვლიანად შეისწავლეს მათი ოჯახური მდგომარეობა, გაითვალისწინეს მათი ლაზათი და უნარი, და ვისაც რა საქმის გაკეთება შეეძლო, იმ უღელში შეაბეს: — ტრაქტორისკენ მიუწევდა გული?! წადილი შეუსრულეს და სატრაქტორო კურსებზე გაგზავნეს.

მწყემსობა ერჩივნა?

აგერ ცხენი და ნაბადი.

ვენახი?

მოკიდეს ხელი და ყველაზე მოწინავე ბრიგადაში ჩაწერეს.

ერთმა ახალგაზრდამ ისიც კი განაცხადა, მე სცენაზე თამაში მიყვარსო... ეს ამბავი ცოტა ჰგავდა ძველ ანდაზას, დედაბერმა შუა ზამთარში მარწყვი მოინატრაო. კოლმეურნეობის ახალმა ხელმძღვანელებმა აქაც სწორი ანგარიში გასწიეს... აგერ კლუბი და აგერ შენ, ჩამოაყალიბე დრამწრე და, ტაში და ვაშა ჩვენზე იყოსო...

ასეთმა გულითადობამ და სულგრძელობამ უკან დასაბრუნი გზა მოუჭრა ყველას, ვისაც კი სირცხვილ-ნამუსის ნატამალი კიდევ შერჩენოდა. რა თქმა უნდა, ყველანი ასე ერთბაშად უბეში ჩასასმელები ვერ გახდებოდნენ, მაგრამ იმ წელიწადს არაშენდას კოლმეურნეობას არა ერთი და ორი მუშაკაცი შეემატა.

განა მარტო არაშენდას? მთელ საქართველოს.

და მაინც, ეტყობა, სანთელი ყველგან ვერ მიანათეს, ვიღაცას ხელი ვერ მიაშველეს, ძახილი ვერ გააგონეს, ან შეიძლება შალვა ყამბარაშვილის წამალმა ყველა კუზიანი ვერ გაასწორა... ასე იყო თუ ისე, აგერ ცოლშვილიანმა კაცმა შიო ბადრიშვილმა უკადრებელი იკადრა: მეზობელს ინდაურები მოჰპარა და ბაზრის გზას გაუყენა.

ქურდი დაიჭირეს, ნაპარავი მხარზე გადაჰკიდეს და სოფელში აატარ-ჩაატარეს.

მონანიების მაგივრად ბადრიშვილმა ქვა ჩაიდო ჯიბეში.

სოფელში ცხოვრობდა ერთი შეძლებული კაცი, ცნობილი მოწანახედე შაქრო როსტომაშვილი, დიდძალი საქონელი ჰყავდა. თავლა და ბოსელი რა იყო, მისმა ცხენ-ძროხამ არ იცოდა. დღედაღამ ველად გაშვებული პირუტყვი აოხრებდა და ატიალებდა სოფლის ჯეჯილს, ბაღჩა-ბოსტანს, ნარგავსა და ნამყენს.

ბევრჯერ გააფრთხილეს, ჯარიმაც დაადეს, მოწანახედემ წარბიც არ შეჭხარა, — ჩვენი ნახნავ-ნათესი მუშაკაცს ისედაც არაფერს აძლევს, ხვასტაგმა მაინც მოძოვოსო!

მეტი გზა არ იყო, როსტომაშვილის ცხენები დაიჭირეს და რაიონს ჩაბარეს.

ესეც შენი მეორე ქვა.

აგვისტოს დილა იყო, როდესაც შალვა ყამბარაშვილს საწყენი ამბავი მიუტანეს. შენი ვენახი რაღაც ძალიან შემჭაბარაო...

— ვერ მოვიცალე, ალექსი, ცოტა წყალი დავაკელი, მაგრამ არა უშავს. ამაღამ შემოვირიგებ! — დაამშვიდა შალვამ შეშფოთებული კარის მეზობელი.

— არა, არა, შალვა, იქ რაღაც სხვა ამბავია!

ალექსი ნაცარაშვილმა დაინდო სოფლის საყვარელი კაცი, ერთბაშად გულზე არ დაახალა, რომ ვიღაცეების ურჯულო ხელმა შეთვალული ვენახი ძირშივე აგიჭრა და ამოგიგდოო...

— დღესაც არ ვიცი, რა გულმა გამიძლო, როდესაც მივედი და ათას რვაასი ძირი ვაზი მკვდარი დამიხვდა! — მითხრა შალვამ.

„მხოლოდ ბადრიშვილი და როსტომაშვილი! მხოლოდ ისინი დადიოდნენ ჩემზე განაწყენებული!“ — ფიქრობდა უზომოდ შეწუხებული კაცი, მაგრამ სანამ სამძებრო ძაღლები ბადრიშვილის ეზო-კარს არ მიადგნენ, შალვას თავისი ეჭვი ხმამაღლა არ გამოუთქვამს.

ბადრიშვილი დააპატიმრეს. იგი პირველსავე დაკითხვაზე გამოტყდა, როსტომაშვილმა შემაცდინა, იმ ღამეს ლაკმესთან დამათრო, მხარზე ორი წალდი გამიდო და ჩვენი თავმჯდომარის ვენახში წაგიყვანაო...

და როგორც ხშირად მომხდარა, მდიდარ მეჯოგეს შაქრო როსტომაშვილს დანაშაული „ვერ დაუმტკიცეს“.. უბოვარ ბადრიშვილს კი ხუთი წლის ციხე და ზარალის ანაზღაურება (ხუთი ათასი მანეთი) მიუსაჯეს.

გავიდა ხანი და ყამბარაშვილმა შრომა-გასწორების კოლონიიდან ზარალის პირველი საზღაური მიიღო, — ოცი თუ ორმოცი მანეთი. თავმჯდომარემ ის ფული მაშინვე უკან დააბრუნა და წერილიც მიადევნა, ზარალის გადახდას არ მოვითხოვ, ბადრიშვილის ნაშრომი მისივე ოჯახს გაუგზავნეთო. ყამბარაშვილი ხედავ დ ა, უკაცოდ დარჩენილ ჯალაბს ხანდახან ხმელა პურიც სანატრელი ჰქონდა.

სანამ ბოროტმოქმე დ ი ციხეში იჯდა, შალვას ვენახის გადასახდელი უკლებლად მისდიოდა ბადრიშვილის ცოლ-შვილს.

ყამბარაშვილი თავად არ მოელოდა, თუ მისი ქველობა ძირბუდიანად შესძრავდა ამ თითქოს ხელიდან წასული კაცის სულსა და გულს. სასჯელი მოიხადა თუ არა, ბადრიშვილი ჩადგა სწორებში და იმ დღიდან კვალი განზე არ გაქცევია... მალე არაშენდაში გამრჯე და კეთილი ყოფაქცევის ადამიანების სათვალავს მისი სახელიც შეემატა.

ერთი-ორჯერ უსახელო წერილიც მიუვიდა ოცდამეთერთმეტე თავმჯდომარეს. „მარტო შენი წირვა სულს ვერ გვიცხონებს, ცოტა ჯოხი დაიმოკლე, თორემ სიცოცხლეს დაგიმოკლებთო!“.

ვერ დავიჯერებ, თითქოს ამგვარი მოკითხვის ბარათები ძილს არ უკრთობდა შალვა ყამბარაშვილს, მაგრამ მან იცოდა ერთი ძველი, უბრალო ჭეშმარიტება, რაც სამწუხაროდ, ბევრმა დღესაც არ იცის: ვინც ბრძოლას იწყებს, მან მსხვერპლიც უნდა გაიღოს! შიში სიმართლეს წინ ვერ გაუძღვება.

და ისიც, მიჰყვა უცად გზას...

„არც ერთი უქნარა და ხორცმეტი არაშენდაში, არც ერთი ამრევი და ჩხუბისთავი!“.

სოფელში თითქოს ყველაფერი დალაგდა. ბოლო მოეღო სამუშაო დღეების გაცდენას. აგერ წინ მიდევს პატარა ცნობა, თუ რა ძალღონის დაუზოგავად მუშაობდნენ არაშენდელები:

გურჯაანის რაიონში ერთი შრომისუნარიანი კოლმეურნე გლეხის საშუალო წლიური გამომუშავება 138 კაცდღეს არ აღემატება. სოფელ არაშენდაში კი ამ ციფრს ერთი დამრგვალებული ასეულიც უნდა მიათვალო, — 238 კაცდღე.

სამი წელიწადი ისე გავიდა. მეზობლობაში არაფერი დაკარგულა, არც კოლექტივის ბეღელს მიჰკარებია უკეთმართი ხელი. მხოლოდ ნათლობა-ქორწილში თუ აეშლებოდნენ ერთმანეთს გულფიცხი ბიჭები, მაგრამ დანა და კეტი უკვე წარსულს ჩააბარა სოფელმა, — ტოლდაუდებელმა შრომამ, ყველა სიკეთესთან ერთად, ბევრ ნალექი მოაშორა აქაური კაცის გულს... ახლა ის ეგრე ალა-ალად სოფელს ვერ შეარცხვენდა.

...და რადგან შალვა ყამბარაშვილმა წირვა არ შეცვალა, უსახელო წერილის დამწერიც სამალავიდან გამოვიდა. ეს მოხდა თერთმეტ დეკემბერს. შუაღამე გადასული იყო, როდესაც შალვა მეუღლის კივილმა გამოაღვიძა. კაცი დაფეთებული წამოვარდა, ხმის ამოღება ვერ მოასწრო, რომ შუშაბანდი შემოამტვრიეს და ოთახის კარიც შემოგლიჯეს...

შალვას ბევრი აღარ უფიქრია, დაავლო ხელი ჩამქრალ ელექტროქურას და შუაკარში ასვეტილ მოჩვენებას გაუქანა. და იმავ წამს რევოლვერიც გავარდა. ერთხელ, ორხელ...

რაღაც ბედად, შალვამ ქეჩას ფე